# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 12 ივნისი. 2024 წ. №69 (9749) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი


## მადლიანი კაცის აზრი

## სიმართლეს მოფრთხილება სჭირდება!



ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე), ფილოსოფიის დოქტორი.

4

## რუსოფობია ცნებების შინაარსს ვერ შეცვლის!

# ბინძური ომი საქართველოს წინააღმდეგ

**ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შავმა კატამ პირველად იან კელის ელჩობის პერიოდში გაირბინა, კელი დეგნანის პირობებში კი ისეთი ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა, რომელსაც შეუძლებელია, ანალოგი მოვუძებნოთ სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ პერიოდში.** 6



2

შეფასება ბერლინიდან

## სანქციები შეურაცხმყოფელი და უსამართლოა!

ბრალდებული ტრამპი:

## ამერიკა ჯოჯოხეთად იქცა!

8



გულნარა სტურუა

## შიგნიდან გატეხილი ციხე, ანუ რადიკალი მოღალატენი




# კიდევ ერთი ისტორიული ქველმოქმედება!

**ბიძინა ივანიშვილმა გუშინ მილიონ ფუნტად შეიძინა „კრისტის“ აუქციონზე იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი სინას მთის კოლექციიდან (V-VII საუკუნეები) არამეულ და ქართულ ენებზე.**

**გმადლობთ, ჭეშმარიტად ეროვნულო მამულიშვილო და ღირსეულო მეცენატო!**

✦ ✦ ✦

ხელნაწერი შეიცავს სახარებების ყველაზე ადრეულ ტექსტურ დამოწმებებს არამეულის უახლოეს დიალექტზე. ეს დიალექტი ყველაზე ახლოსაა იმ ენასთან, რომელზეც იესო ლაპარაკობდა, - ასე წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის მიერ „კრისტის“ აუქციონზე იოანე-ზოსიმეს უძველესი ხელნაწერის შესყიდვის გამო.

წიგნის პალიმფსესტური ფურცლები ინახავს ტექსტებს ქრისტიანულ-პალესტინურ, არამეულ და ქართულ ენებზე. პირველადი ტექსტი V-VII საუკუნის ბოლოა, ხოლო იოანე ზოსიმეს მიერ პირადად დაწერილი ზედა ტექსტი ზუსტად 979 წლით თარიღდება.

უნიკალური ხელნაწერი საჩუქრად ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა



ბიძინა ივანიშვილის ოჯახი იოანე-ზოსიმეს უნიკალურ ხელნაწერს ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად გადასცემს!



ბერლინი, 11 ივნისი, 2024 წ.

### ირაკლი კობახიძე:

# სანქციები შეურაცხმყოფელი და უსამართლოა!

**ჩვენს ინტერესებშია, მაქსიმალურად გაღრმავდეს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით შემხვედრი ნაბიჯები ვიხილოთ, როგორც ამერიკელი პარტნიორებისგან, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლებისგან, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს ბერლინში განუცხადა, სადაც უკრაინის აღდგენის კონფერენციას ესწრება.**

მისი თქმით, სანქციები არის შეურაცხმყოფელი ქვეყნისთვის, ხალისთვის და არ შეესატყვისება პარტნიორობის სულისკვეთებას.

„პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ სანქციები არის არასერიოზული, ამასთან ერთად სანქციები არის შეურაცხმყოფელი ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ხალისთვის. ეს არ შეესატყვისება ჩვენს პარტნიორობის სულისკვეთებას. მე იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში, ყველაფერი გადაიხედება. ჩვენს ინტერესებშია, მაქსიმალურად გაღრმავდეს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რა თქმა უნდა, ჩვენს ინტერესებშია გაღრმავდეს ურთიერთობები ევროკავშირთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისად, შემხვედრი ნაბიჯებიც ვიხილოთ ამ მიმართულებით, როგორც ამერიკელი პარტნიორებისგან, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლებისგან. ეს იქნებოდა სწორი დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ და ქართული სახელმწიფოს მიმართ. ყველას მოვუწოდებ, პრაგმატული ნაბიჯების გადადგმისკენ და სწორი, სამართლიანი დამოკიდებულების გამოვლინებისკენ ჩვენი ხალხის მიმართ“, – დასძინა ირაკლი კობახიძემ.

### ვატო შაქარიშვილი:

# პარადოქსია, რომ ისეთი პოლიტიკოსები არიგებენ ჭკუას ქართველ ხალხს, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაშიც აღარ ენდობიან

**– ევროპა დღეს, ერთდროულად განიცდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ღირებულებით კრიზისებს.**

არასუვერენული პოლიტიკა; ომის რიტორიკა; სანქციების შედეგად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა; მიგრანტების კრიზისი; ჩავარდნილი „მწვანე პოლიტიკა“ და LGBT იდეოლოგიის პედალირება – ეს ის ძირითადი მიზეზებია, რამაც ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები განაპირობა.

ფაქტია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების მოსახლეობა ცდილობს, თავი დააღწიოს იმ კრიზისებს, რაც მათივე მმართველმა ძალებმა შექმნეს.

უკმაყოფილება იმდენად მაღალია, რომ გერმანიის მმართველ კოალიციაში შემავალი ყველა პარტია დამარცხდა, კანცლერ შოლცის პარტია საერთოდაც მესამე ადგილზე გავიდა. მაკრონმა კატასტროფული მარცხი განიცადა, რის გამოც ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწია. თანამდებობა დატოვა ბელგიის პრემიერ-მინისტრმაც. ავსტრიის მემარჯვენე, ევროსკეპტიკოსმა ძალებმა წარმატებას მიაღწიეს ევროპარლამენტის არჩევნებში და მათი გამარჯვებაა მოსალოდნელი ეროვნულ დონეზეც.

გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში არსებული ხელისუფლებების მიმართ მხარდაჭერის ძალიან დაბალი მაჩვენებელი, პირველ რიგში მეტყველებს იმაზე, რომ ევროპელ ხალხს სურს – მშვიდობა!



მთავრობების პოლიტიკა კი, მხოლოდ ომის რიტორიკაზე დგას, ემსახურება მის გახანგრძლივებას და საზღვრების გაზრდას. უკრაინის ომში ევროპის ქვეყნების ჩართულობა – იარაღის გაგზავნა, ფულადი დახმარებები, სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, ეს ის მიზეზებია, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. მათ გაუძვირდათ კომუნალური გადასახადები, მოიმატა პროდუქტის ფასებმა, დაიკარგა სამუშაო ადგილები. გერმანიის ეკონომიკა, რომელიც არათუ ევროპის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიკა იყო, რეცესიას განიცდის.

ფრანგებმა, გერმანელებმა და სხვებმა დასვეს მარტივი კითხვა – რატომ გაუუარესდათ ცხოვრება? პასუხი კი, ის არის, რომ მათი მთავრობები არ ეკუთვნიან საკუთარ თავს და ქვეყანას, არამედ ემსახურებიან აშშ-ის ინტერესებს და სწორედ ეს იწვევს დამღუპველ შედეგებს.

ევროპის მოსახლეობა გრძნობს რომ მათ ქვეყნებს ცეცხლი სულ უფრო უახლოვდება და ამაში მათივე ხელისუფლებების მიერ გატარებული პოლიტიკაა დამნაშავე.

განახლებულ ევროპარლამენტში 19 ადგილი დაკარგეს „მწვანეებმა,“ რადგან ე.წ. „მწვანე პოლიტიკა“ კრახით დასრულდა, რამაც განსაკუთრებით დააზიანა სოფლის მეურნეობის სფერო და შეარყია ევროპის ეკონომიკური სტაბილურობა.

22 მანდატი დაკარგა ლიბერალების ფრაქციამ „განაახლე ევროპა,“ რომლის ნაწილიც იყო მაკრონის პარტია.

ღირებულებით, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისებზე, ევროპელმა ხალხმა პასუხისმგებლობა სწორედ ამ ძალებს დააკისრა. საპირწონედ კი მნიშვნელოვნად გაიზარდა მემარჯვენე-კონსერვატიული პარტიების წარმომადგენლობა ევროპარლამენტში. საერთო ჯამში მემარცხენე-ლიბერალურმა ძალებმა 44 მანდატი დაკარგეს, ხოლო მემარჯვენე-კონსერვატიულმა ჯგუფებმა 50-ით მეტი ადგილი მოიპოვეს.

ცხადია ამით, ყველაფერი ერთბაშად ვერ გამოსწორდება, მაგრამ ეს არის მკაფიო ნიშანი, რომ ისე ვეღარ გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო!

**P.S.** პარადოქსია, რომ ისეთი პოლიტიკოსები, არიგებენ ჭკუას ქართველ ხალხს, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაშიც კი, აღარ ენდობიან! სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი, მათზე იღებს სწორებას...

### ილია დარჩიაშვილი:

# აი, რით ვეხმარებით უკრაინიას...



**ეს კონფერენცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანობას და სოლიდარობას უკრაინის და უკრაინელი ხალხის მისამართით, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა ბერლინში, ქართველ ჟურნალისტებთან განაცხადა.**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმყოფება ბერლინში და სხვა კოლეგებთან ერთად, ამ ღონისძიებაში მონაწილეობს. ეს არის პრემიერ-მინისტრისა და ჩვენი ქვეყნის მხრიდან კიდევ ერთხელ დემონსტრირება, რომ უკრაინა და უკრაინელი ხალხი, მათი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საქართველოს დელეგაციის აქ ყოფნა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით არის მორიგი დემონსტრირება, რომ საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინასა და უკრაინელ ხალხს. ეს ღონისძიება ძალიან მასშტაბური იყო. კანცლერი შოლცისა და უკრაინის პრეზიდენტის მონაწილეობით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც დაახლოებით 10-მდე სხვადასხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი ესწრებოდა, მათ შორის იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც მრგვალი მაგიდის ფორმატში ისაუბრა იმ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რომელიც საქართველომ ომის დაწყების დღიდან აღმოუჩინა უკრაინას, უკრაინელ ხალხს. კიდევ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა, გამოგვეხატა სოლიდარობა უკრაინის მისამართით და გვესაუბრა იმ მხარდაჭერაზე, რომელიც ჩვენ უკვე გავწიეთ და რომლის გაწევასაც ვაგრძელებთ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად...

# უკრაინის აღდგენის სააგენტოს ხელმძღვანელი ბერლინის კონფერენციის წინ გადადგა



**უკრაინის აღდგენისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, მუსტაფა ნაიემი გადადგა ერთი დღით ადრე მანამ, სანამ ბერლინში გაიხსნებოდა მასშტაბური კონფერენცია უკრაინის აღდგენის შესახებ, რუსეთთან ომის დასრულების შემდეგ.**

ნაიემი 10 ივნისს სოციალურ ქსელებში წერს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო “სისტემური წინაღობების გამო, რომლებიც არ მაძლევდა ჩემი მოვალეობების ეფექტიანად შესრულების საშუალებას”.

ნაიემის თქმით, ნოემბრის შემდეგ მისი გუნდი აწყდება “მუდმივ წინააღმდეგობას” სააგენტოს მოვალეობების შესრულებისას, მათ შორის პრემიერ-მინისტრის, დენის შმიგალის გადაწყვეტილების სახით, რომლითაც მას არ მიეცა კონფერენციაში მონაწილეობის საშუალება.

მუსტაფა ნაიემი გავლენიანი საჯარო ფიგურა და ჟურნალისტია, იგი 2023 წლის იანვრიდან ხელმძღვანელობდა სააგენტოს. მანამდე, 2021 წლის აგვისტოდან, მუშაობდა ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ.

# აქუს თეონა პანდორას ყუთიდან ამოძვრა...

**– მართალია თქვენ ფორმალურად დარბაზში არ ბრძანდებით, ქალბატონო თეონა, იმიტომ, რომ რეგისტრაცია არ გაიარეთ და ამიტომ, მიკროფონი არ ირთვება, ეს ერთი. მეორე, გადათვლასთან დაკავშირებით პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა დააყენოს ეს საკითხი, თქვენ არ ბრძანდებით პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი. მესამე, შეგიძლიათ ჩამოიაროთ და თქვენ თვითონ გადათვალოთ, რამდენი ადამიანია.**

აი, ხომ ხედავთ ქალბატონო თეონა, თქვენს არასერიოზულობას სადამდე მიჰყავხართ. ეს ერთი, მეორე, დღეს ჩვენ გვქონდა სამი რეგისტრაცია, არ გაიარეთ ხომ არც ერთი? არც თქვენ გაიარეთ. ეს გიგროვდებათ თქვენ როგორც რეგისტრაციის არ გავლა და თვის ბოლოს, შესაბამისად, ჩამოგეჭრებათ ხელფასი.

მესამე, თქვენი ობსტრუქცია, რაც დღეს შეეცადეთ მოგეწყოთ, რომ სხდომა არ გახსნილიყო, გასაგებია, კი ბატონო, შეიძლება ეს გააკეთოთ, თუმცა, მგონი ამით თქვენ გახსენით პანდორას ყუთი, ვინაიდან სამშაბათს, დღევანდელ დღეს, უპირველეს ყოვლისა, ოპოზიცია იყენებს ხოლმე ამას პოლიტიკური განცხადებებისთვის და სხდომა თუ არ გაიხსნება სამშაბათს, ვერც პოლიტიკური განცხადება გექნებათ. თქვენ ახლა გახსენით პანდორას ყუთი და მიეცით საშუალება უმრავლესობას, რომ სხვა დროს, სამშაბათს არ გაიაროს რეგისტრაცია უმრავლესობამ და დარჩებით თქვენი პოლიტიკური განცხადებებისა და მედიაში აწეული სათაურების გარეშე!!!



მე მანდატურებს მაინც ვთხოვე გადამოწმება, ქალბატონო თეონა, მართალია თქვენ ფორმალურად დარბაზში არ იმყოფებით, მე გავიარე რეგისტრაცია, ვარ დარბაზში, გადამოწმდა და კვორუმი არის. ასე, რომ აქაც შეგიძლიათ იყოთ მშვიდად!..

# „სასჯელი“ და პერსპექტივა

**ყველაფერი, რაც ბოლო ხანებში საქართველოს შიდაპოლიტიკურ სივრცეში ერთმანეთს დაპირისპირებულ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასა და ნაცმოძრაობისა და მის ანასხლეტ „წვრილფეხობას“ შორის ხდება, ორივე მხრიდან უმთავრესი სტრატეგიული მიზნის მიღწევას — წლევანდელ 26 ოქტომბერს გასამართ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მიღწევას ექვემდებარება. მეტიც: „ქართულ ოცნებაში“ პირდაპირ აცხადებენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილში რეალურად არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, პარლამენტის ახალი მოწვევის დეპუტატთა კორპუსში პარტიას უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების მტკიცე რწმენა აქვს. ოპოზიციის მთავარ ღერძს — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და თავის 10-15-კაციან „აფცქვნილ“ ვითომდა სხვა პარტიულ წარმონაქმნებს კი პათოლოგიურად შეძულებული „ქართული ოცნების“ არა მარტო სახელისუფლებო ბერკეტებიდან ჩამოცილება, არამედ საერთოდ „დუნიადან გაქრობა“ სურს. დასახული მიზნის მისაღწევად გარკვეული გადაადგილებები ჩატარდა: თუ „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრისა და პარტიის თავმჯდომარის თანამდებობებს შორის ერთგვარი ტაქტიკური როქი განახორციელა, ამას „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აშკარად კარიკატურული თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი შედარებით უფრო წარმოსაჩენი თინათინ ბოკუჩავათი შეცვალა. ორივე ძალისთვის კი საჯილდაო ქვად უკვე ყელზე დამდგარი უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარი „აგენტების შესახებ“, ანუ ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსული გრანტების ხარჯვის გამჭვირვალობის კანონის შემოღება იქცა.**

**ამასთან დაკავშირებით რაიმე ახლის თქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მაგრამ ჯერ კიდევ სკოლიდან გვახსოვს, რომ ცოდნის განსამტკიცებლად, მასწავლებლები დროდადრო უკვე გავლილი მასალის გამეორებას ითხოვდნენ ხოლმე, რაც ცოდნის გამყარებას უწყობდა ხელს და ამ მეთოდის გამოყენებას მშვენიერი შედეგი მოსდევდა. ამიტომაც გავიმეორებ: ამ კანონის შემოღებისა და ამოქმედების მოწინააღმდეგეთა უმეტესობა ვერასდროს ვერ განმარტავს, თუ კონკრეტულად რის წინააღმდეგია, როგორც ამას ვერ აკეთებენ მათი წამქეზებელი გარკვეული უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებიც, ყველა წესითა და რიგით, უპირველეს ყოვლისა, თავადვე უნდა იყვნენ დაინტერესებულნი იმის გარკვევით, თუ როგორ იხარჯება მათ მიერ გამოყოფილი სახსრები. თუმცა, „ქვიშაში თავჩარგული სირაქლემას პოზიცია“ რაღა გასაკვირია, როცა ამ ხარჯის სტრუქტურა მათთვის ისედაც მშვენივრადაა ცნობილი, ხოლო მისი ცოდნა „სხვათათვის“ რა საჭიროა!!!**

„ქართული ოცნების“ განმარტებით კი, ამ კანონის არჩევნებამდე შემოღება, ოპოზიციისთვის ერთგვარ პრევენციულ დარტყმას, ძალთა და საპროტესტო მუხტის „ტყუილად“ დახარჯვას, ჰაერში ფუჭად გაფრქვევას ისახავს მიზნად.

ოპოზიციის „რუსულად“ მონათლული კანონი პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს პარლამენტის მიერ დაძლევას, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ზოგიერთი მაღალჩინოსნის მკაცრ თითის დაქნევას გარკვეული სადამსჯელო ქმედებები, საქართველოს დაახლოებით ორი თუ სამი ათეული მოხელის დასანქცირება მოჰყვა, რომელთა ვინაობას ჯერჯერობით არ გვიმხელენ (?!). ამ ამბავს, ოპოზიციურ ბანაკში, ცხადია, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, ხოლო ოდიოზური „პოლიტქურუმისა“ და ორაკულის **გია ხუხაშვილის** განცხადებით, სანქცირებულ პირთა ვინაობის საიდუმლოდ შენახვა ძალიან მაგარი სვლაა: აქაოდა ხელისუფლების საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ შტოებს, ყველა მაღალჩინოსანს იქნებ სული გაუწვრილდეს იმის მარჩიელობაში, პირადად მას ეხება თუ არა ეს „კუთხეში დაყენება“. პოლიტიკური ზეწოლისგან ვითომდა თავისუფალი ერთ-ერთი ტელევიზიით გამოსვლისას, მან იქედნურად თქვა: **„აბა, სცადონ ახლა და ჩავიდნენ ამერიკაში და თხუთმეტსაათიანი ფრენის დროს იმარჩიელონ, შეუშვებენ მათ ქვეყანაში თუ უმალ უკანა გზას გაუყენებენო“.**

რა თქმა უნდა, ხაზესა და ხუხას ინტელექტუალური დონეების შედარება აშკარად მეორის სასარგებლოდაა, მაგრამ მის ამ „განჭვრეტას“ გამჭრიახი პოლიტიკური ანალიტიკოსობის ნასახიც არა აქვს და უფრო საყველპურო სარკაზმის არცთუ გამორჩეული მაგალითია.





ბუნებრივია, ვერც სიდიდით, ვერც პოლიტიკური წონადობით, ვერც სამხედრო ძალით, ვერც სიმდიდრით და ვერც კიდევ აუარება სხვა პარამეტრით, საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერ გაეჯიბრება, რადგან დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ჩვენთვის მრავალი სიკეთე აქვს გაკეთებული (ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს, რომ თუნდაც რუსეთთან ღია სამხედრო კონფლიქტის დროს ჩვენთვის ოპერატიულად მოწოდებული „ჰუმანიტარული დახმარების“ სახით პამპერსებისა და მინერალური წყლების ამბავიც გვახსოვდეს!), მაგრამ ეჭვს არ უნდა იწვევდეს მოსაზრება, რომ როცა ასეთ დისბალანსში მყოფ სტრატეგიულ პარტნიორებს შორის რაღაც ჭრილში პრინციპულ საკითხზე (თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ერთ-ერთი მათგანის შიდა პოლიტიკის საქმეა!). მიდის კამათი („კამათს“ ვეძახი დიპლომატიურად ამ შემთხვევაში ძია სემის რიგ მსახურთა აშკარა თითის ქნევას!), უმცროსმა კოლეგამ (ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, საქართველომ) თითქოს მეტად უნდა დაუგდოს ყური უფროსს, მაგრამ... ასე არ მოხდა, რითიც საქართველომ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ამცნო თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ასეთ ვითარებაში, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული პოლიტიკური ძალები ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – როგორ, უმცროსმა კომპანიონმა მას არ დაუჯერა?! დაუჯერებელი ამბავია!

**პირველი და უმთავრესი კითხვა, რომელიც ამის შემხედვარე კაცს გაგიჩნდება – მაინც რატომ არ უთითებენ ქართველ დასანქცირებულ ჩინოსანთა ვინაობას? თუ ისინიც ხუხაშვილის ჭკუაზე არიან და მხოლოდ იმით ხელმძღვანელობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი აანერვიულონ ტრანსატლანტიკური ფრენის დროს?! თანაც, ყველა სანქციას ხომ რეალურად დასაბუთება სჭირდება თუ მოხელეებსაც ერთიანად კრემლის აგენტებად შერაცხავს უპირებენ?**

არადა, საქართველომ უკვე გამოიარა – თანაც არა ერთხელ!

**– „თითების გადაგრეხის“ ასეთი პერიოდი, როცა ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მონიჭება-არმონიჭების თაობაზეც მსგავს მოთხოვნებს გვიყენებდნენ, მაგრამ ქვეყანამ ამ დიდი წინააღმდეგობის მშვიდობიანად გადალახვა მაინც შეძლო. ასე იქნება აუცილებლად ამ შემთხვევაშიც, როცა არაკეთილმოსურნე ძალებს წლევანდელ ოქტომბერში ქართველი ხალხი თავისი პოლიტიკური არჩევანით გასცემს პასუხს.**

**ოთარ აბრამია**

<u>შალვა პაპუაშვილი:</u>

## „აღშფოთებული მოქალაქის“ დადგმული სცენები...

**ცხადია, რომ მედიისთვის დადგმული ეს ვითომ „აღშფოთებული მოქალაქის“ სცენები, სინამდვილეში, ორგანიზებული და პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის კამპანიაა, რომელიც ევროპის სახელით მიმდინარეობს, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში წერს.**

როგორც ის აღნიშნავს, დონორები, მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების პოლიტიკური ექსტრემიზმის წაყრუებით, ტერორის ნორმალიზებას ახდენენ.

**„მხოლოდ ბოლო რამდენიმე დღეში ევროკავშირის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები:**

**– დაემუქრნენ პარლამენტის წევრებს „კეფაში ტყვიით“ (ლევან დათუნაშვილი, „ჯემიუსი“);**

**– ურეკავდნენ პარლამენტის წევრებს მუქარით და შეურაცხყოფით (სალომე ნიკოლაიშვილი, ზუკა გერძენიშვილი, „სირცხვილია“);**

**– საჯარო სივრცეში თავს დაესხნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახთან ერთად მყოფ პარლამენტის წევრს (მარიამ წიწიკაშვილი, „გრასი“ / „ფაქტჩეკი“).**

ცხადია, რომ მედიისთვის დადგმული ეს ვითომ „აღშფოთებული მოქალაქის“ სცენები, სინამდვილეში, ორგანიზებული და პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის კამპანიაა, რომელიც ევროპის სახელით მიმდინარეობს. დონორები, მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების პოლიტიკური ექსტრემიზმის წაყრუებით, ტერორის ნორმალიზებას ახდენენ“.

# ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახი „ტვ პირველს“ ცილისწამების გამო სასამართლოში უჩივის



**„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის და ექსპრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახი სასამართლოს სარჩელით მიმართავს და ითხოვს ცილისწამებად იქნეს აღიარებული ტვ პირველის გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასული სიუჟეტი, რომელიც შპს „ღარიბაშვილის მარანსა“ და ფრანგი ინვესტორის მიერ დაფუძნებულ კომპანიას შორის დადებულ იჯარის ხელშეკრულებას ეხებოდა. ამის შესახებ მედია-საშუალებებს დღეს ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა აცნობა.**

„დღეს, ჩვენ სარჩელით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და ვითხოვთ სასამართლოს მიერ ცილისწამებად იქნეს აღიარებული ტელეკომპანია ტვ პირველის გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასული სიუჟეტი, რომელიც შპს „ღარიბაშვილის მარანსა“ და ფრანგი ინვესტორის მიერ დაფუძნებულ ქართულ კომპანიას შორის დადებულ იჯარის ხელშეკრულებას ეხებოდა. ეს სიუჟეტი არის ნათელი მაგალითი, იმ წინასწარ დაგეგმილი ცილისწამების კამპანიისა, რომელსაც წლების განმავლობაში ახორციელებს ტვ პირველი და კონკრეტულად გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათი“ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის და მისი ოჯახის მიმართ.




ადვოკატის განცხადებით, მათ სასამართლოს მიმართეს სარჩელით, რომ ცილისწამებად იქნეს აღიარებული კონკრეტული სიუჟეტი და დაევალოს ტვ პირველს კანონით დადგენილი წესით, თავადვე გაავრცელოს ინფორმაცია ამის შესახებ. „ჩვენ სასამართლოს წარვუდგენთ სიცრუეზე და ცილისწამებაზე დაფუძნებულ ათობით სიუჟეტს, რომლებიც წლების განმავლობაში მზადდებოდა „ნოდარ მელაძის შაბათის“ მიერ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია, კანონით დადგენილი წესით, **თავად ტვ პირველმა აღიაროს, რომ ეს სიუჟეტი იყო სიცრუე.** საზოგადოება კარგად დაინახავს, რომ როგორც ქარხნის შეძენა ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის მიერ, ისე შემდგომში გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ფრანგ ინვესტორთან, სრულად შეესაბამება კანონმდებლობას და რომ მთელი ეს ცილისწამების კამპანია ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის და მისი ოჯახის დისკრედიტაციის მცდელობას“. აცხადებს ადვოკატი.

# სიმართლეს მოფრთხილება სჭირდება!

**ახლა, როცა საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა დასავლელი ლიბერალების შეთქმულება შეუდრეკლად ამხილეს და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონი მიიღეს, თავიანთი შეუპოვრობით ჩვენც, რიგით მოქალაქეებსაც, სამშობლოს წინაშე პასუხისმგელობა აღგვიმაღლეს, ვინაიდან მტრული ძალების შემოტევათა განმეორების შემთხვევაში, ხელისუფლებასთან ერთად მამულისთვის ბრძოლა და თავდადება თითოეულ მოქალაქეს მოგვეთხოვება. ამ ერთობის ძალა კი ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს დაანახა ოჯახის სიწმინდის დაცვისა და მშობელთა პატივისცემის სადღესასწაულო დღეს, როცა მთელმა ერმა, როგორც სალაშქროდ გამოსულმა ქუდზე კაცმა, ქალაქებისა და სოფლების ტაძრები და მოედნები აავსო.**

ამიტომ სწორედ ახლა, ამ ამძვინვარებულ სამყაროში ყველა ჩვენს ქმედებას და, განსაკუთრებით, ჩვენს მთავარ იარაღს – სიმართლეს – მოფრთხილება სჭირდება. „სამართალი სასჯელი საჯეთ“ (ინ. 7, 24), ხოლო „დაღაცათუ გევნებოდის სიმართლისათვის, ნეტარ ხართ, ხოლო შიშისა მის მათისაგან (ბოროტის მყოფელთაგან) ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით“ (1 პეტ. 3, 14). წმიდა მოციქულებს უნდა დავუჯეროთ, რადგან მათი ბაგეები სულიწმიდის მადლით მეტყველებენ.

მეც კნინოდენ მათი მიმდევარი ვარ და მჯერა, რომ ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მცდელობა სიმართლესთან მისაახლოებლად, ანუ საზოგადოებაში ასე ფესვგადგმული რუსოფობიის აღმოსაფხვრელად უშედეგოდ არ ჩაივლის. ადრე ნათქვამის გამეორება უხერხულია, მაგრამ შეხსენება კი აუცილებელია, რომ ჩვენ სრულიად გაუნათლებელ და კაცთმოძულე ერს ვემსგავსებით, როცა ცრუ პროპაგანდას დაუკვირვებლად და გაუანალიზებლად ვემორჩილებით. არა აქვს მნიშვნელობა, ამ პროპაგანდისთვის ვინ რომელ ტრიბუნას ან ამბიონს იყენებს, გონიერი ადამიანი ვალდებულია, თუნდაც ყველაზე გავრცელებული ლოზუნგი ან შეხედულება კრიტიკულად შეაფასოს და მისი ავკარგიანობა არა პოპულისტურ, არამედ სამართლიან საზომს დაუქვემდებაროს.

ამჯერად, ჩვენი ყურადღება მიიქცია საზოგადოება „ქართულის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის გიორგი გაბუნიას შეფასებამ: **„მინდა ვკითხო საზოგადოებას, რა განსხვავებაა ამ ქართველთმოძულე მიხაელ როთსა და იმ რუს ეგზარქოს, პავლეს შორის, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველი ერი ამბიონიდან დაწყევლა და შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს კულტურას, ჩვენს ისტორიას?! მინდა გითხრათ, რომ არანაირი განსხვავება არ არსებობს“** (იმედინიუსი, 02.06.2024).

**ერეტიკოსი მ. როთის მკრეხელური დამოკიდებულება ქართველი ერისა და მისი აღმსარებლობის მიმართ საზოგადოებისთვის ცნობილია, მაგრამ მასთან მართლმადიდებელი მღვდელმთავრის გაიგივება, თუნდაც მის მიმართ წაყენებული ბრალდების გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. თუმცა, გასაგებია რუსოფობიური იდეოლოგიის მოთხოვნა, რომ როგორმე მოძიებულ უნდა იქნეს რუსეთის მაკომპრომეტირებელი, თუნდაც საეჭვო ფაქტი, რომელიც მის ბოროტმოქმედებას კიდევ ერთხელ მწვავედ განგვაცდევინებს.**

პირველ რიგში, გამოთქმული აზრის ავტორმა კარგად უნდა იცოდეს საგანი, რომელზეც მსჯელობს. მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის რუსეთისიც და საქართველოსიც, ერთი ორგანიზმია. ყველა ადგილობრივ ეკლესიას ერთი საერთო თავი ჰყავს – უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ჩვენ, მსოფლიო ეკლესიის მთელი მრევლი, ერთმანეთისთვის ვლოცულობთ და ჭეშმარიტების გონიერ მტერთა მიერ ამჟამად შემოტანილ განხეთქილებას, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ წამოიწყო, ვცდილობთ, წინ აღვუდგეთ და უკანონო დადგენილებებს გავრცელების საშუალება არ მივცეთ.

გამჭვირვალობის კანონმა ნათლად დაგვანახა, რომ ლიბერალურ ფაშიზმს არა სამართალი, არამედ საკუთარი დამპყრობლური მიზნების განხორციელება აინტერესებს, რომლის მთავარი სამიზნე მართლმადიდებელი ეკლესია და მისი ამქვეყნიური მთავარი მცველი რუსეთის სახელმწიფოა. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისედაც დამძიმებული მდგომარეობის შემსუბუქება მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით შეიძლება. პოლიტიკური შუღლი თუ ეკლესიაშიც შემოვიტანეთ, მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მტრის მანქანებით ჩატეხილ ხიდებს ვეღარავინ აღადგენს.

**საქართველოს იმჟამინდელ ეგზარქოსს, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოს პავლეს (ლებედევი), 1886 წლის 26 მაისს, თბილისის სემინარიის რექტორის დეკანოზ პავლე ჩუდეცკის საზარელი მკვლელობის გამო (ჩუდეცკი სემინარიიდან გარიცხულმა ი. ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა!) საქართველო და ქართველი ხალხი არ დაუწყევლია!..**

## რუსოფობია ცნებების შინაარსს ვერ შეცვლის!



ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსი, ეგზარქოსი პავლე (ლებედევი)



დიმიტრი ყიფიანი

**ბოლოს და ბოლოს, ადამიანურ ფაქტორს მაინც გავუწიოთ ანგარიში. ზოგს მამა ჰყავს რუსი, ზოგს დედა, ზოგს მეგობარი... ჩვენი ქართველი მამები რუსეთში მოღვაწეობენ, იქაურ ქართულ სამრევლოებს პატრონობენ, ადგილობრივ სამღვდელოებასთან ერთად ჟამს წირავენ და ღმერთს ევედრებიან, რათა ჩვენს შორის მშვიდობა სუფევდეს და სიყვარულმა თვალნი გონებისანი აგვიხილოს. ნაცემს აყოლილმა ადამიანებმა კი, ეთნიკური სახელი „რუსი“ ბოროტების ცნებას გაუიგივეს და გამჭვირვალობის კანონსაც მისი დამღა დაასვეს, თითქოს ამით ქართული ფილოლოგია და ლინგვისტიკა შეიცვლებოდა. გონების მეტად დაბნელება შეიძლება?! როგორც ჩანს, შეიძლება,**



ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი

**ვინაიდან მათ დამატებით მოიფიქრეს ნებისმიერ კითხვაზე გასაცემი უნივერსალური და ყოვლისმომცველი პასუხი – „იმიტომ“, რომელიც თავის თავში ყველა არგუმენტსა და ყოველგვარ კომენტარს გულისხმობს!**

ხუმრობა იქით იყოს და, გარდა ნაცებისა, რუსოფობია საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმაც შეითვისა. თუ ადრე „რუსი მოდის“ შეძახილით ქართველები მტერს აფრთხობდნენ, ახლა ზოგისთვის „რუსი“ სალანძღავ ტერმინად გადაიქცა. ძნელია განუსწავლელ ან დამახინჯებული საისტორიო თხზულებებით განსწავლულ ადამიანებთან კამათი, მაგრამ იქნებ დასაწყისში, სანამ საკუთარ აზრს კარდინალურ მნიშვნელობას მივანიჭებდეთ, გავეცნოთ დოკუმენტურ წყაროებს, განსხვავებული მოსაზრებების მქონე ქართველი მეცნიერების ნაშრომებს, შევაჯამოთ ჩვენი ცოდნა და შემდეგ, ზომიერების დაცვით, გამოვხატოთ პოზიცია, იქნებ იგი სხვათათვისაც ანგარიშგასაწევი აღმოჩნდეს.

**მარტო იმის ჩვენება, რომ შენ რუსთმოძულე ხარ, ღირსებას ვერ შეგმატებს, ხოლო მსმენელს სარგებლობას ვერ მოუტანს. ზემოთ მოყვანილი ციტატაც ანალოგიურია: გარდა რუსი ეგზარქოსის, აქედან გამომდინარე კი, მთელი რუსი ერის დაკნინებისა, ავტორს სხვა მიზანი არც ჰქონია, ვინაიდან თანამედროვე გერმანელი პოლიტიკოსის სამხილებლად XIX ს-ში მოღვაწე რუსი მღვდელმთავრის სახელის ლაფში ამოსვრა განზოგადებული ანალოგიაა, რომლის ბადალი ბ-მა გ. გაბუნიამ საქართველოს ვრცელ მატიანეში ვერსად მოიძია.**

ახლა კი, ციტირებული ამბავი მიმოვიხილოთ. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ საგაზეთო წერილში პრობლემურ ისტორიულ ეპიზოდებზე ფართო დისკუსიას ვერ გავმართავთ, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს სტატიაში მოტანილი ცნობების გასაცნობად საჭირო წყაროები ელ-ფოსტის საშუალებით შეგვიძლია მივუთითოთ. აგრეთვე, წინასწარ ვიტყვით, რომ ჩვენი თემის სრულ ანალიზს, სავარაუდოდ წელს, გამოვაქვეყნებთ მეორე ტომში მონოგრაფიისა: «დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ».

1886 წლის 24 მაისს თბილისში მომხდარი მკვლელობის თაობაზე პირველ ცნობებს წმიდა **ილია მართლის** (ჭავჭავაძე) გაზეთი „ივერია“ და ცნობილი მოღვაწის დეკანოზ **დავით ღამბაშიძის** ჟურნალი „მწყემსი“ გვაწვდიან.

იმ დროს მთელი ქალაქი შემაძრწუნებელ ამბავზე ლაპარაკობდა. თბილისის სემინარიის რექტორი, დეკანოზი **პავლე ჩუდეცკი** ამავე სასწავლებლიდან სამი თვის წინ გარიცხულმა სტუდენტმა **იოსებ ლაღიაშვილმა** ხანჯლით მოკლა. მაშინ ამ განზრახ აღსრულებულ დანაშაულს მორალურადაც და სამართლებრივადაც საზოგადოება ერთნაირად აფასებდა. მას უწყალო, შეუბრალებელ, მხეცურ და საზარელ საქციელად მოიხსენებდნენ, ხოლო გულკეთილი და განათლებული მოძღვრის სიცოცხლის მოსპობით დამწუხრებული ადამიანები იმედს გამოხატავდნენ, რომ ღმერთი მოწამეობრივი ცხოვრების აღსრულებისთვის მას ზეციურ გვირგვინს განუმზადებდა.

**26 მაისს, განსვენებული რექტორის დასაფლავების დღეს, კუკიის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, წესის აგების შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსმა პავლემ (ლებედევი) წარმოთქვა, რომელიც „მწყემსის“ გარდა სხვა რუსულ პერიოდიკაშიც დაიბეჭდა. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ეს გამოცემები და დავრწმუნდით, რომ ტექსტები იდენტურია და მეუფე პავლეს სიტყვის მხოლოდ ერთი ვარიანტის არსებობა ეჭვს არ ბადებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მასალა არ არსებობს, „ქართველებმა მთელი არსებით დაიჯერეს“, რომ ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო. ამ საკითხზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ სრულიად საქართველოს პატრიარქის, წმიდა კალისტრატეს (ცინცაძე, +.1952 წ.) და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის (+.1913 წ.) ჩანაწერებით დავკმაყოფილდეთ. კალისტრატე თბილისის სემიანარიაში მკვლელი ი. ლაღიაშვილის თანაკლასელი იყო და ამიტომ მისი მოგონება საინტერესოა:

„მე ვიყავი „სტიქაროსანი“ და ყოველთვის მათავისუფლებდნენ სემინარიიდან მღვდელმთავრების წირვის დროს. იმ დღეს არ გამათავისუფლეს და ამიტომ **არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა:** მართლა წარმოთქვა თუ არა ეგზარქოსმა პავლემ ის ფრაზა, რომელსაც მას მიაწერენ. დაბეჭდილ სიტყვაში იგი გამოტოვებულია, თუმცა მლოცველებმა და დამსწრეებმა გადმომცეს, რომ მღვდელმთავარმა წარმოთქვა: „წყეულიმც იყოს ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედს შობს“. ვიმეორებ, მე არ ვიცი, იყო თუ არა წარმოთქმული ეს ფრაზა“ (ჩემი მოგონებებიდან (საღვთისმეტყველო კრებული, #3, 1987. გვ. 30).

კათალიკოსს ამ საეჭვო ამბავზე აზრი რომ არც შემდგომ შეუცვლია, თხზულების თავფურცელზე 1941 წელს გაკეთებული მისივე მინაწერი ადასტურებს: „ამ მოგონებებს გადავხედე და დავრწმუნდი, რომ ისინი დაწერილია მრისხანებისა და მიკერძოების გარეშეო“.

არ. ჯორჯაძე რექტორის მკვლელობისას, მართალია, მხოლოდ 14 წლის ყმაწვილი იყო, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით მის მიერ 1911 წელს გამოქვეყნებული „წარსულის გაკვეთილები“, ფაქტობრივად, პირველი პუბლიკაციაა ეგზ. პავლესა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მაშინდელ წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს შორის გამართული მიმოწერისა. თუმცა, ავტორი წყაროებს არ უთითებს:

***„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსთ-მთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს***

*მსახურისა და წარმომადგენელისაგან.*

*იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდვილესს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით.*

*თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.*

*ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრულის ხელით.*

*თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური*

**დიმიტრი ყიფიანი.**

**8 ივნისს 1886 წელ. სად. მიხაილოვო".**

**ეგზარხოსმა პავლემ მეორე დღესვე წერილობითვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.**

*„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!*

*თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში" N199(უნდა იყოს N139 – ბ.გ.). რაც შეეხება უგუნურ(**нельпыхъ**) ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემი ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.*

*თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური*

**პავლე არხიეპისკოპოსი,**

**საქართველოს ექსარხოსი.**

**9 ივნისს 1886 წელს" (თხზ., ნ. II, გვ.173-174).**

* * *

**თუ ჩვენც** „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე" განვიხილავთ ამ წერილებს, ვფიქრობთ, სუბიექტური (სავარაუდო) და ოფიციალური (ფაქტობრივი) პოზიციები ერთმანეთს იმგვარად უნდა შევუთანხმოთ, რომ რადიკალიზმისგან თავი დავიზღვიოთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლესი საეკლესიო იერარქისადმი სავარაუდო საკითხზე კატეგორიული მიმართვა განათლებული თავადისგან მოულოდნელია; მით უმეტეს, რომ წერილში მწყემსმთავრისადმი წაყენებულია მოთხოვნა ქვეყნის დატოვებისა მისი „ღირსების გადარჩენისა" და „ახალი დიდი შეცოდების" თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, დიმიტრი ყიფიანის „უცნაური წერილის" მძაფრი ემოცია უკვე ბრძოლაში ჩაბმული მხედრის პოზიციიდანაც შეიძლება აიხსნას, რადგან ერთი წლით ადრე, 1885 წელს იგი კავკასიის მთავარმმართებელს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს ქართული ენის შევიწროების გამო დაუპირისპირდა. ეს ცალკე თემაა, მაგრამ რექტორის მკვლელობის დროისთვის ვითარება იმდენად იყო გამწვავებული, რომ დ. ყიფიანს ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III-ის დავალებით „შესაფერისი გაკიცხვა" ჰქონდა გამოცხადებული.

ამასთანავე, ნუთუ მთავარეპისკოპოსის სიტყვის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც წყევლისა და შეჩვენების შესახებ არაფერია ნათქვამი, ქართველ პუბლიცისტებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ არსებული ფაქტი და სინამდვილეედ გაფორმებული „დაუჯერებელი ხმები" ისტორიის კუთვნილებად უნდა გადაექციათ?! – მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაზე მეტად ზემოქმედებს აუგად მოსახსენებელი საქმენი, ვიდრე მადლი და წყალობა კეთილის მყოფელთა მხრიდან.

ერთი სიტყვით, ვინც როგორ არ უნდა ცვალოს ისტორიული მოვლენები, მართლმადიდებელ მოღვაწეთა მორალური სახე დასავლელ ერეტიკოსთა ანალოგიად არასდროს გამოდგება. უცოდველი არავინაა, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ეკლესიაა წმიდა და გადამრჩენელი; ამიტომ იგი უწმინდურ საქმეთა პროპაგანდისტად და შუღლის დამნერგველად არასდროს გადაიქცევა.



**ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე),**
**ფილოსოფიის დოქტორი.**
**10.06.2024.**

**ელფოსტა:**
**madli.ssg@rambler.ru**

**ასეთი ქართველებიც გვყავანან!..**

# შიგნიდან გატეხილი ციხე, ანუ რადიკალი მოღალატენი




**ამერიკამ, როგორც საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა ქვეყანამ, ქართველი ხალხი გაგვაოცა, როცა, ამ რამდენიმე დღის წინ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის მეთიუ მილერის განცხადებით საქართველოს ათობით მოქალაქეს და მათი ოჯახის წევრებს სავიზო აკრძალვები დაუწესა. თუმცა ასეთი აკრძალვებით, ანუ ეგრეთ წოდებული სანქციებით, უკვე კარგა ხანია იმუქრებოდნენ ჩვენი პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები. არათუ იმუქრებოდნენ, აქტიურად „იღვწოდნენ" კიდეც ამერიკის მთავრობის კარზე, რათა მათი საშუალებით თავიანთი ჯავრი ამოეყარათ გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის დამკანონებლებზე, მათ თანამოაზრეებზე.**

საქართველოში კი არა, ალბათ ყველგან არიან ადამიანები, რომლებთაც დაკარგული აქვთ სინდისი და სირცხვილის გრძნობა, არა აქვთ ზრდილობა და კულტურა, უხარიათ ის, რაც უნდა სწყინდეთ და სწყინთ ის, რაც უნდა უხაროდეთ, მოკლებულნი არიან ლოგიკური აზროვნების უნარს და სხვა ბევრ კეთილ ადამიანურ თვისებებსაც, მათთვის სამშობლო მხოლოდ ტერიტორიაა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გარეშე მსუყე ცხოვრების მოსაპოვებელი ადგილი. ასეთებმა არც კი იციან, რა არის სამშობლოს სიყვარული. თავიანთი მოთხოვნებისა და კეთილდღეობისათვის ადვილად გაწირავენ მას. თუ გამოიცანი მათი ბუნება, მტრად გამოგაცხადებენ, თავიანთ ნაკლს უკლებლივ მოგაწერენ. საუბედუროდ, თანამოაზრეებსაც მალევე გაიჩენენ, რა ღონესა და ხერხს არ გამოიყენებენ „წარმატების" მისაღწევად, საზღვარსაც ადვილად გადალახავენ...

დიახ, გადალახა საზღვარი და ქართულმა რადიკალურმა ოპოზიციამ თავი ამერიკაში ამოყო. უცხოელთა პირით, იქიდან დაიწყეს საქართველოს ხელისუფლების „გაშავება."

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია იცნობს ასეთ „მოღვაწეებს", „პატრიოტიზმი" რომ სამშობლოს ღალატში ერევათ, ამ დროს, სამშობლოს რაობისა და მნიშვნელობის შესახებ გაგებაში არ არიან!

კი, ბატონო, ჩვენ ვიცით „ჩვენივე გაჭედილი ხატის" ამბავი, ვიცით, როგორი ოპოზიცია გვყავს, მაგრამ, საკითხავია – რა დაემართა დემოკრატიის ავანგარდს, სიმართლისა და სამართლიანი კანონების ფუძემდებელ ამერიკას, რომ ჩვენი პატარა, ულამაზესი, ასეული წლების განმავლობაში სიმართლისათვის მებრძოლი ქვეყანა, თავისუფლების სიყვარულით ანთებული ხალხით, ათასწლეული სახელმწიფოებრიობით, გამორჩეული ენით, დამწერლობით, კულტურით... პარტნიორად კი არა, მის ვასალად მიიჩნია და ოკეანის გაღმიდან გამოგზავნილი რჩევების სანაცვლოდ თითი დაგვიქნია, ჭკვიანად იყავითო! რითიც ახლო წარსული, საბჭოთა კავშირის „დემოკრატიული" ბატონობა შეგვახსენა? არა, ვერ გამოვხატე ის აღმაშფოთებელი განცვიფრება, რაც ამერიკულმა სანქციებმა მოგვიტანა ქართველ ხალხს. ეს იყო, საგანგებოდ შერჩეული სადამსჯელო ღონისძიება. ამის მომსწრენი, ჩვენ, მოქალაქენი ორმაგად დავიჩაგრეთ, ერთი – იმის შეგრძნებით, რომ ჩვენივე ქალაქში, ჩვენივე სამშობლოში ამდენი უგუნური (იქნებ ამდენი მოღალატე? ვაი, თუ ვცდები და მოღალატენი კი არა, პოლიტიკაა თავად ასეთი – თავზე ხელაღებული, ძალადობრივი, ადამიანობას რომ გაკარგვინებს!)... ერის შემადგენელი ნაწილიაო, როგორ იტყვის კაცი მათზე! ასეა თუ ისე, ქართველები ისევ ქართველებმა შეგვარცხვინეს, ციხე შიგნიდან გატეხეს. გამჭვირვალობის კანონი თავიანთი ინტერპრეტაციით გადათარგმნეს. ბევრი ადამიანი დაარწმუნეს კანონის მავნებლობაში, განსაკუთრებით – ახალგაზრდები. „ქურდს რა უნდაო" და მათაც (ახალგაზრდებმაც) „ისარგებლეს," სასწავლებლები მიატოვეს. პატრიოტები დაირქვეს, თავი გმირებად წარმოიდგინეს, მთელი თვის განმავლობაში ქუჩა-ქუჩა ირბინეს. ძალ-ღონეც არ დაიშურეს, მთავრობის სახლთან ბევრი რამ კიდეც მიამტვრ-მოამტვრიეს.

რადიკალებსაც ეს უნდოდათ, მთავრობის დამხობის მოწოდებებით მათ შეუერთდნენ არეულ-დარეული საქართველოს მსოფლიოსთვის დასანახვებლად... ბოლოს მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები („ქართული ოცნებიდან") ადამიანები, რომლებმაც თავგანწირულად იბრძოლეს საქართველოს ევროპულ გზაზე დასაყენებლად, ქვეყნის მშვიდობის შესანარჩუნებლად, - ამერიკას დაასანქცირებინეს ჯერჯერობით პირველი პაკეტით (მეორესაც გვპირდებიან!) აი, სწორედ ეს არის ის მეორე საშინელება, რომელმაც ქართველ ხალხს თავზე ცივი წყალი გადაგვასხა. ათეული წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთპატივისცემა და კეთილგანწყობა წყალში გადაყარა, დემოკრატიული სამყაროსადმი ეჭვი გაუჩინა. ვფიქრობ, რომ ასეთი ღონისძიებები, სანქციები და სხვა მუქარები ამერიკის პოლიტიკურ პორტრეტს სასიკეთოდ არ წაადგება.

ჩვენ კი, ქართველი ხალხი, ჩვენივე არჩეული მთავრობის სხვა სახელმწიფოსაგან შეურაცხყოფას და დასანქცირებას, რბილად რომ ვთქვათ, ტაშს ვერ დავუკრავთ! საუბედუროდ, ჩვენი რადიკალები, რომლებიც პარლამენტში სხედან და საქმის კეთების ნაცვლად ქვეყნის წინსვლას აშკარად აბრკოლებენ, ხალხს ძაბავენ და თითქმის სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მოუწოდებენ, აშკარად ზეიმობენ, ამერიკისთვის კი თბილ, გულიან სიტყვებს და ქება-დიდებას არ იშურებენ! ასეთი ქართველებიც გვყავანან!



**გულნარა სტურუა**

# ნომრის ციტატები

## ევროპული მომავალი უფრო მეტად უნდა წყდებოდეს ევროპაში

**– ევროპარლამენტის არჩევნების მთავარი შედეგი ისაა, რომ გამოჩნდა ახალი ტენდენცია – ევროპაში ე.წ. რადიკალური ლიბერალიზმი თავის პოზიციებს კარგავს და მის ადგილს ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად იკავებენ მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალები.** რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა მიწისძვრა ევროპარლამენტში, მაგრამ მარჯვენა მხარეს განწყობების და პოლიტიკური ძალთა ბალანსის გადანაცვლება აშკარად გამოჩნდა. ეს აისახა ევროპის წამყვან ქვეყნებზე, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმ ნათელ სურათს, რომ ევროპაში განწყობები იცვლება. ევროპა უფრო მეტად ხედავს, რომ მისი, როგორც ევროპული მომავალი, უფრო მეტად უნდა წყდებოდეს ევროპაში, ის რომ ფსევდოლიბერალიზმი საბოლოო ჯამში, განვითარების „ტუპიკი" არის და ომი არ არის ევროპის პრიორიტეტი. ომი უკანასკნელ წვეთამდე ასუსტებს ევროპას და აძლიერებს ისეთ გლობალურ მოთამაშეებს, რომელთა მიზნებიც ძირეულად არ შეესატყვისება ევროპის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ არჩევნებმა ევროპის პოლიტიკაში ახალი ტენდენციების დამკვიდრების მკვეთრი და მკაფიო სურათი მოგვცა.



**ირაკლი ქადაგიშვილი**

## გარკვეული გაღიზიანება დღეს არსებული პოლიტიკის გადატვირთვის მცდელობა...

**პარტია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებს აფასებს.** დეპუტატი ამბობს, რომ ევროპელ ამომრჩეველზე გავლენა ვიოლა ფონ კრამონის და მისი გუნდის არასწორმა პოლიტიკამ იქონია, რაც თავად კრამონმაც აღიარა. სოზარ სუბარის განმარტებით, არასწორ პოლიტიკაში რუსეთ - უკრაინის ომი, ამ ომის მიმართ ევროპის დამოკიდებულება და ზოგადად გლობალური ომის პარტიის პოლიტიკა იგულისხმება. დეპუტატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ძალები ისევ უმრავლესობაში არიან, შემჩნევა ხალხის გაღიზიანება, თან იმ ფონზე, როდესაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში არჩევნებია დანიშნული.



„სხვათა შორის, ევროპულ არჩევანზე გავლენა მოახდინა ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობმა ვიოლა ფონ კრამონმა, რომელმაც თქვა, რომ ძალიან ბევრმა უთხრა საარჩევნო კამპანიის დროს, რომ პრობლემა იყო არა პუტინში, არამედ შეერთებულ შტატებში, მათი დაზვერვის სამსახურსა და CIA-ში. ანუ ვიოლა ფონ კრამონმა თქვა: იმიტომ წავაგე არჩევნები, რომ არასწორ გათვლებს ვაკეთებდითო. ლაპარაკია პრაქტიკულად რუსეთ-უკრაინის ომზე, ამ ომის მიმართ ევროპის პოლიტიკაზე და ზოგადად გლობალური ომის პარტიის პოლიტიკაზე, რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო ვიოლა ფონ კრამონი და მისი ეს პოლიტიკა საქართველოს მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა.

სწორედ ამაზე გაგვცა პასუხი ევროპელმა ამომრჩეველმაო – ეს თვითონ აღიარა. მთლიანობაში, არჩევნები იყო ზუსტად ისეთი, როგორიც მოსალოდნელი იყო. მოხდა სერიოზული ცვლილება, წამყვანი ძალები ისევ დარჩნენ უმრავლესობაში, თუმცა შეიმჩნევა ევროპელი ამომრჩევლის გარკვეული გაღიზიანება დღეს არსებული პოლიტიკით და გადატვირთვის მცდელობა, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება...

**სოზარ სუბარი**

# ბინძური ომი საქართველოს წინააღმდეგ



**გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებულია ტერმინი „ბინძური ომი“, რაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ მიმართულ უცერემონიო მოპყრობას გულისხმობს.**

**საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული პირველი მასობრივი შეტევა, ჯერ კიდევ 1956 წლიდან ახსოვს, თუმცა, „ბინძური ომის“ პოლიტიკამ კულმინაციას 1989 წლის აპრილში მიაღწია, როცა სასიკვდილო აგონიაში მყოფმა რუსეთის იმპერიამ კუდი მძლავრად მოიქნია და თბილისის ქუჩებში სისხლის მდინარეები დააყენა!..**

მას შემდეგ, რაც მრავალჭირნახულმა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ დემოკრატიული იდეალების ერთგული გეოგრაფიული დასავლეთი თავის მფარველ კალთას გადაგვაფარებდა და მოძალადე აგრესორებისგან ცერბერივით დაგვიცავდა, თუმცა, იმედები მალევე გაგვიცრუვდა!

**იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა კოლექტიურ დასავლეთს თავისუფლებისმოყვარე ერების მიმართ, საკმარისია, გავიხსენოთ აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უფროსის ავისმომასწავებელი შეფასება – ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო, რაც სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი განცხადება იყო!**

მართალია, ზვიად გამსახურდია განსაკუთრებული ლოიალობით არ გამოირჩეოდა დასავლეთის მიმართ და ამიტომაც აქციეს ზურგი, მაგრამ შევარდნაძისთვისაც რომ არ გამოუდვიათ თავი იგივე ამერიკელებს, ეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებმაც თვალნათლივ დაადასტურა. უფრო მეტიც, როცა შევარდნაძემ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მტკიცე ხასიათი გამოავლინა, სასწრაფო წესით გამოუტანეს პოლიტიკური განაჩენი და მათი სურვილების მონური მორჩილებით შემსრულებელი სააკაშვილით ჩაანაცვლეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9-წლიან პერიოდში, კოლექტიურმა დასავლეთმა, უპირატესად კი შეერთებულმა შტატებმა, ისე მყარად მოიკიდეს ფეხი საქართველოში, ვერავინ წარმოიდგენდა, ასეთ დომინანტურ მდგომარეობას საფრთხე თუ ოდესმე შეექმნებოდა, მაგრამ როცა სააკაშვილის რეჟიმი ყველა დასაშვებ ზღვარს გადავიდა, ქართველი საზოგადოების მოთმინების ფიალა გადაივსო და არჩევანი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გააკეთა.

იმის მტკიცება, თითქოსდა ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა და ანგარიშს არ უწევდა ქართველი საზოგადოების აზრს, უპატიებელი შეცდომა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის ძალადობრივი დარბევა გაამართლა, იმავე წლის შემოდგომაზე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების 18 ელჩის მონაწილეობით აღკვეთა სააკაშვილ-მერაბიშვილის მცდელობა, შტურმით აეღოთ ბიძინა ივანიშვილის სოლოლაკის რეზიდენცია, რამაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობა მისცა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მომდევნო ელჩის რიჩარდ ნორლანდის პოზიცია, როცა 2012 წლის 2 ოქტომბერს სააკაშვილს ეწვია ავლაბრის რეზიდენციაში და აიძულა თავნება პრეზიდენტი, ეღიარებინა არჩევნების შედეგები!

ხელი ხელს ბანს და ორივე პირსო, ნათქვამია და „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ წლებში, საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობა ურთიერთშეთანხმების პირობებში ვითარდებოდა, რაც ორმხრივად ხელსაყრელი იყო, სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ქართული სახელმწიფო ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი იყო საერთაშორისო მისიებში, ადამიანური მსხვერპლის ფასადაც კი.

დაზუსტებული ათვლის წერტილის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შავმა კატამ პირველად იან კელის ელჩობის პერიოდში გაირბინა, კელი დეგნანის პირობებში კი ისეთი ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა, რომელსაც შეუძლებელია ანალოგი მოვუძებნოთ სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ პერიოდში.

**არათუ საქართველოსთანა პატარა ქვეყანაში, 80-მილიონიან თურქეთშიც კი ლამის სახელმწიფო გადატრიალებამდე მიიყვანა საქმე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერამ რადიკალური ოპოზიციის მიმართ და სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ჩვენ, ქვეყანაში 2020-2021 წელს ძალადობრივი პროცესების ესკალაცია, მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.**

ქართული ოპოზიცია ისეა მოწყვეტილი რეალობას, იმასაც კი ვერ აცნობიერებს, რომ ხელისუფლებით საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება სულაც არ ნიშნავს მათ უპირობო მხარდაჭერას, მაგრამ მაინც ხალხის სახელით აპელირებენ, ლოგიკის კანონის საპირისპიროდ.

შარშანდელისგან განსხვავებით, როცა საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებული იყო და მწვავედ აპროტესტებდა უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის კანონპროექტს, ამჯერად ვეღარ მოახერხა ოპოზიციამ ისეთი კრიტიკული მასების მობილიზება, რომელიც ხელისუფლებას აიძულებდა, უკან დაეხია, რამაც მოთმინებიდან გამოიყვანა ჩვენი ევროპელ-ამერიკელი პარტნიორები და ლამის ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასირებული შეტევა გახლავთ იმ ბინძური ომის ნაირსახეობა, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ევროპარლამენტის უმწვავეს რეზოლუციას თავი რომ დავანებოთ, უაღრესად სახიფათო იყო აშშ-ის სენატის 14 წარმომადგენლის წერილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისადმი: **„ძალიან იმედგაცრუებული დავრჩებით, თუ საქართველოს პარლამენტი მიიღებს კანონს „უცხოეთის აგენტების შესახებ“, რომელიც ძირს გამოუთხრის საქართველოს ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან. თუ ეს კანონპროექტი მიღებული იქნება, ჩვენ იძულებული გავხდებით, წავახალისოთ შეერთებული შტატების პოლიტიკის შეცვლა საქართველოს მიმართ, რაშიც შეიძლება შედიოდეს სანქციები მათ მიმართ, ვინც პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეზღუდვაზე, შეერთებული შტატების პირდაპირი ფინანსური დახმარების გადახედვა და შეერთებულ შტატებში სავიზო აკრძალვების გაფართოება“.**

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები სიტყვის კაცების რეპუტაციით არ სარგებლობენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დანაპირები პირნათლად შეასრულეს და

## თუ საქართველო და მოლდოვა რუსეთის ფედერაციისგან თავიანთი ტერიტორიების გათავისუფლებას დაიწყებდნენ მაშინ, როცა უკრაინაში ომია, ერთად უფრო სწრაფად მოვაგვარებდით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხს!



ნამდვილად წაახალისეს შეერთებული შტატების პოლიტიკის შეცვლა საქართველოს მიმართ, რაც სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენისა და ვიცე-პრეზიდენტ კამილა ჰარისის რიტორიკაში გამოიხატა.

სავარაუდოდ, ასეთი წახალისების შედეგი იყო, როცა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯიმ ო’ბრაიენის კვალდაკვალ, საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ რიგი ევროპული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც ოპოზიციის მიერ გამართულ აქციაზე არა მარტო ტელეკამერების წინ პოზიორობდნენ ჰოლივუდის კინოვარსკვლავებივით, არამედ აქტიურად უჭერდნენ მხარს მათ ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს საზოგადოების მიმართ.

აღარაფერს ვამბობ გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის, სოდომური ცოდვის წუმპეში ყელამდე ჩაფლული მიხაელ როთის და მისი ფინელი კოლეგის სებასტიან ტინკინენის უტიფარ თავხედობაზე, რომელთაგან პირველმა „ნათელი მომავლის“ შემაფერხებელ ფაქტორად ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნია, ხოლო მეორემ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „გიჟური კანონპროექტი“ უწოდა!

ზოგიერთი დასავლელის კრიტიციზმი კრეტინიზმში გადადის, რაც გონებრივად შეზღუდული ადამიანების თვისებააო, ჩვეული პირდაპირობით აქვს ნათქვამი შალვა ნუცუბიძეს.

ეჭვი მეპარება, ამ უსაქმურებმა გონივრული შეგონება გაითვალისწინონ, მაგრამ ჩემი კეთილი რჩევა იქნება, თავიანთი პარლამენტების ბიბლიოთეკებში მეტი დრო გაატარონ და პოლიტიკურ მეცნიერებაში კვალიფიკაცია აიმაღლონ!

რაც უნდა იმართლოს თავი ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ, ჩემი სიტყვები კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით არ მიხსენებია ირაკლი კობახიძესთან საუბარშიო, მაინც არავინ დაიჯერებს კოლექტიური ნაციონალების გარდა.

შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ რამდენიმე თვის წინათ, რობერტ ფიცომ, ლამის ხატზე დაიფიცა, სანამ გავლენა მექნება მთავრობაზე, სლოვაკეთი არასდროს დაუჭერს მხარს უკრაინის ნატოში გაწევრებას, რადგან ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის დასაწყისიო!

გასაგებია, რომ ფიცოს ასეთი მტკიცე პოზიცია აღაშფოთებდა გლობალური ომის პარტიის იმ მესვეურებს, რომლებიც მზად არიან, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ უკრაინას, ოღონდ კი რუსეთის დაუძლურებას მიაღწიონ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ არც გლობალური ომის პარტია გახლავთ ფანტაზიის ნაყოფი და არც მეორე ფრონტის თემაა ყურით მოთრეული ჭორი, ასეთი თავგამოდებით რომ უარყოფენ რომან გოცირიძისა და ხატია დეკანოიძის მსგავსი „ევროოპტიმისტები“.

უფრო გავლენიან ევრო-ამერიკელ აქტორებზე რომ არაფერი ვთქვათ, ომის ქარცეცხლში გახვეული უკრაინის მაღალჩინოსნები განა ღიად არ მოგვიწოდებდნენ მეორე ფრონტის გახსნისა და სოხუმის



## ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის შავმა კატამ პირველად იან კელის ელჩობის პერიოდში გაირბინა, კელი დეგნანის პირობებში კი ისეთი ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა, რომელსაც შეუძლებელია, ანალოგი მოვუძებნოთ სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ პერიოდში.



ქუჩებში ტანკებით გასეირნებისკენ?! ოლექსი არესტოვიჩს, ივან კრულკოს და ალექსეი გონჩარენკოს რომ თავი დავანებოთ, უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის ალექსეი დანილოვის 2023 წლის ოქტომბრის კომენტარი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ: **თუ საქართველო და მოლდოვა რუსეთის ფედერაციისგან თავიანთი ტერიტორიების გათავისუფლებას დაიწყებდნენ მაშინ, როცა უკრაინაში ომია, ერთად უფრო სწრაფად მოვაგვარებდით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხსო!**

ომი დიდი სისულელეა, მაგრამ ეს არ აფერხებს მის მსვლელობასო, ამბობს ნობელიანტი მწერალი ალბერ კამიუ. ეს მარტივი ჭეშმარიტება ესმის ყველას, გლობალური ომის პარტიის მესვეურების გარდა, ზემოგებაზე რომ არიან კონცენტრირებული და ხალხის ბედი თითქმის არ აინტერესებთ.

**უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში ხანგრძლივი ხოცვა-ჟლეტის მიუხედავად, ევრო-ამერიკელი მეგობრები მაინც პოულობენ დროს საქართველოს შინაურ საქმეებში ხელის საფათუროდ და ჟანგბადის გადაკეტვასაც კი გვპირდებიან, გაჯიუტების შემთხვევაში. ერთმანეთის მიყოლებით გვაფრთხილებენ არა მარტო სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერი მეთიუ მილერი და მისი კოლეგა თეთრი სახლიდან კარინ ჟან-პიერი, არამედ მათი უშუალო ხელმძღვანელები ენტონი ბლინკენი და ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, რომელთა დიპლომატიური ტონის მიღმა აშკარად იკვეთება შენიღბული მუქარის კონტურები.**

კი, ბატონო, მეთიუ მილერი არ გახლავთ ფრიდრიხ შილერი, შეუვალ ავტორიტეტად რომ მივიჩნიოთ, მაგრამ რამდენადაც აშშ-ის საგარეო უწყების ოფიციალურ პოზიციას ახმოვანებს, ანგარიში უნდა გავუწიოთ და უდიერად არ მოვიხსენიოთ.

ასეთი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად გასაგები გახდებოდა, რომელიმე ოპონენტს ორი სიტყვით მაინც რომ აეხსნა, თუ რატომ არის ეს სადავო კანონი უვარგისი, თორემ ერთსიტყვიანი „განმარტება“ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემაც კი გააკეთა, რითაც საშვილიშვილოდ მოიჭრა თავი!

**ვერაფრით ამიხსნია, რომელ ჭკუათმყოფელს შეუძლია თავში მოუვიდეს აზრი ამა თუ იმ კანონის სეგრეგაცია მისი წარმომავლობის ნიშნით. ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საჭირო კანონი შეიძლება რუსეთშიც მიიღონ, ჩინეთშიც, ბურკინო ფასოშიც და კოსტა-რიკაშიც, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო! თუმცა, რომელ წარმომავლობაზე ვლაპარაკობთ – ამათი დეგრადირებული ლოგიკით ამერიკული FARA-ს ქართული ანალოგიც ხომ რუსული იყო!**

რაც შეეხება რევანშიზმის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილ რადიკალურ ოპოზიციას, მათი ქმედება მაგონებს ანარქისტ ანანიას, კინოფილმიდან „ლაზარე“, რომელიც მღვდელ ენუქისა და დიაკონ ლავრენტის ყოველ დანახვაზე, კარგად გაწვრთნილი თუთიყუშივით იმეორებს აკვიატებულ მოწოდებებს: ძირს მეფე! ძირს მღვდელი! ძირს ბატონი! გაუმარჯოს ანარქიას!

ჭკუადამჯდარი ადამიანების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს, შევინარჩუნოთ სტაბილურობა, არ დავუშვათ ანარქია და მივცეთ ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა!

**თეიმურაზ ჟანელიძე,**
**წყალტუბო – ჩუნეში.**

# რუსთავში 700-მდე ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცათ




**რუსთავში, წლების განმავლობაში უკანონოდ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კიდევ 21 ოჯახს გადაეცა საკუთრებაში.**

რუსთავის მერიის მუნიციპალური სერვისების ცენტრში ამის თაობაზე ინფორმაცია, მოსახლეობას ქალაქის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრებმა გააცნეს. ნინო ლაცაბიძემ და ირაკლი შატაკიშვილმა მათ საქართველოს მთავრობის განკარგულება გადასცეს და შემდგომი პროცედურები განუმარტეს.

,, სამთავრობო გუნდის მხარდაჭერით, ორი წლის განმავლობაში, 700-მდე ოჯახს გადავეცით ფართები საკუთრებაში. ეს ადამიანები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ აღნიშნულ მისამართებზე, თუმცა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდათ. დღესაც პრემიერის განკარგულებით, დამატებით 21 ოჯახს მივულოცეთ ფართების საკუთრებაში გადაცემა", – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ოჯახებს, რომელთაც მთავრობის გადაწყვეტილებით სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცათ ბინები საკუთრებაში, მხოლოდ საჯარო რეესტრის შესაბამისი რეგისტრაცია დასჭირდებათ.

,,გრძელდება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით ხორციელდება და გულისხმობს საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად – 1 ლარად

ინდივიდუალურად ოჯახებისთვის საკუთრებაში გადაცემას. რუსთავში რამდენიმე ათეულ ოჯახს გადავეცით დღეს ფართი, საერთო ჯამში კი 700-მდე ოჯახს. ჩვენი პოლიტიკური გუნდი აუცილებლად გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას"- განაცხადა საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა.

# დაგროვებითი პენსია არის ძალიან კარგი!



**საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, პაატა კვიჟინაძე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონზე ჟურნალისტებთან საუბრობს.**

კვიჟინაძე აცხადებს, რომ თავიდან ეს კანონი ევროკავშირის დახმარებით 2018 წელს იქნა მიღებული.

„ეს კანონი მივიღეთ 2018 წელს. ჩვენ ერთის მხრივ ვალდებულება გვქონდა ევროკავშირთან და მეორეს მხრივ, ევროკავშირი ძალიან მოგვეხმარა ამ კანონის მიღებაში. სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. მსოფლიო ბანკის ექსპერტები გვახლდნენ და მივიღეთ ერთ-ერთი საუკეთესო კანონი ევროპაში და ამას ყველა აღიარებს. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ხალხი გვენდო და იმაზე მეტი შემოვიდა საპენსიო სააგენტოში, ვიდრე ველოდით“...

კვიჟინაძე დეტალურად ხსნის დაგროვებითი პენსიის მუშაობის სტრუქტურას და აცხადებს, რომ ეს სისტემა არის ძალიან კარგი და წარმატებული.

„წარმოვიდგინოთ, 2 პროცენტს იხდის თვითონ პიროვნება, პირობითად ეს არის 100 ლარი, 100 ლარს გიხდის დამატებით

დამსაქმებელი და კიდევ 100 ლარს გიხდის სახელმწიფო. ის 100 ლარი ავტომატურად ხდება 300 ლარი და შემდეგ ეს თანხა გამოიმუშავებს კიდევ თანხას. მაგალითად, 5 მილიარდი რომე

ლიც არის სააგენტოს ანგარიშზე, მილიარდ ორასი მილიონი ამონაგებია. ამიტომ, ეს სისტემა არის ძალიან კარგი და წარმატებული. აქვე გეტყვით, რომ ოპოზიციას 2018 წელსაც არ დაუჭერია მხარი და რასაც ახლა ამბობენ, გაამრავლეთ ათზე და იგივეს საუბრობდნენ მაშინაც, რომ დაიქცევა, დაიკარგება და ა.შ. არაფერიც არ მომხდარა. ხედავთ, რომ ვითარდება და ყველაფერი კარგად მიდის,- განაცხადა პაატა კვიჟინაძე

# პოლონელი მოსამართლე ბელარუსში გაიქცა

**ვარშავის** რაიონულმა სასამართლომ 11 ივნისს ბელარუსში გაქცეული პოლონელი მოსამართლის ადვოკატ ტომას შმიდტის დაპატიმრების ორდერი გასცა. მას ბრალად ედება რუსეთისა და ბელარუსის სპეცსამსახურებისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა. მაისში ცნობილი გახდა, რომ შმიდტი ბელორუსიაში გაიქცა და იქ პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს.

პოლონეთში შმიდტი დედაქალაქის ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლედ მუშაობდა. კიდევ უფრო ადრე ის იუსტიციის ეროვნულ საბჭოში იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი იყო. მან თანამდებობა 2019 წელს სასამართლოში მომხდარი სკანდალის შემდეგ დაკარგა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მისი მეუღლე ინტერნეტში მაკომპრომეტირებელ მასალას აქვეყნებდა მმართველი პარტიის მიერ ორგანიზებულ სასამართლო რეფორმასთან დაპირისპირებული მოსამართლეების წინააღმდეგ. სკანდალმა იუსტიციის მინისტრის მოადგილისა და რამდენიმე მოსამართლის გადადგომა გამოიწვია.

ვარშავის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოს მოსამართლემ ტომაშ შმიდტმა 6 მაისს მინსკში გამართა პრესკონფერენცია და განაცხადა, რომ პოლონეთიდან გაიქცა პოლიტიკურად მოტივირებული დევნის გამო. შმიდტმა თქვა, რომ უსამართლოდ მიიჩნევს ბელარუსისა და რუსეთის მიმართ პოლონეთის პოლიტიკას. პოლონეთის ხელისუფლება რუსეთთან ომში მყოფი უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია.

უკვე 8 მაისს პოლონეთის პროკურატურამ შმიდტის წინააღმდეგ ჯაშუშობის მუხლით აღძრა საქმე. პროკურატურის ინ-



ფორმაციით, შმიდტმა უცხოეთის საგარეო დაზვერვის უწყებებს გადასცა საიდუმლო ინფორმაცია. პოლონელ მოსამართლეზე გამოცხადდა ეროვნული ძებნა, დაუსწრებლად დააპატიმრეს და სასამართლო იმუნიტეტი ჩამოართვეს. თუმცა, ინტერპოლმა უარი თქვა პოლონეთის ხელისუფლების თხოვნით შმიდტის დაპატიმრების საერთაშორისო ორდერის გამოცემაზე, რადგან მისი დევნა პოლიტიკურად მიიჩნია.

მაგრამ 11 ივნისს გამოცემული ორდერით, ტომას შმიდტი შეიძლება დააპატიმრონ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში და გადასცენ პოლონეთის ხელისუფლებას. პოლონეთში, ჯაშუშობის ბრალდებით, მას რვა წლიანი ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

# სამხრეთ აფრიკამ ახალ პოლიტიკურ ერაში შეაბიჯა



**2024 არჩევნების წელია მთელ მსოფლიოში. წელს, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი საარჩევნო ურნებში მივა ან უკვე მივიდა. ზოგი არჩევნებისგან შიდა პოლიტიკური ცვლილებები არაა მოსალოდნელი, ზოგი კი, დიდ სიურპრიზებს გვიმზადებს. ასეთი იყო, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ამასწინანდელი საპარლამენტო არჩევნები. უკანასკნელ 10 წელიწადში, აფრიკის ეს ყველაზე ძლიერი და განვითარებული ქვეყანა მსოფლიო დონის გეოპოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, მას გეოპოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი და ამბიცია გაუჩნდა.**

სამხრეთ აფრიკა ეგრეთ წოდებული გლობალური სამხრეთის ერთ-ერთი უძლიერესი წევრია. ის აფრიკის ერთადერთი არაარაბული ქვეყანაა, რომელიც დიდი ოცეულისა და ბრიქსის წევრია. მოკლედ, სამხრეთ აფრიკა საკმაოდ გავლენიანი მოთამაშეა საერთაშორისო არენაზე.

მსოფლიო ყურადღებით ადევნებდა თვალს იქაურ საპარლამენტო არჩევნებს, რომლის შედეგად, სამხრეთ აფრიკის უახლეს ისტორიაში პირველად, მმართველმა პარტიამ, აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა, უმრავლესობა დაკარგა. ეს პოლიტიკური ძალა აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ნელსონ მანდელამ შექმნა. 1994 წლიდან, ანუ აპარტეიდის დაძლევის შემდეგ, ის ყველა არჩევნებს იგებდა, თან, დიდი უმრავლესობით. წელს კი, ხმათა მხოლოდ 40 პროცენტი მიიღო, ანუ აფრიკის ეროვნული კონგრესი პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ ქვეყნის სამართავად მას კოალიციის შექმნა მოუწევს. ეს კი, პარტიისთვისაც და ხალხისთვისაც ნამდვილი უცხო ხილია. არჩევნებამდე მმართველი პარტია სხვა პარტიებს არაკორექტულად და ამპარტავნულად ექცეოდა, რის გამოც, ახლა, ძალიან გაუჭირდება კოალიციის შექმნა.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, არჩევნებში, მათ ასეთი შედეგი აჩვენეს: დემოკრატიულმა ალიანსმა ხმათა 21 პროცენტი მოიპოვა; ყოფილი პრეზიდენტის, ჯეიკობ-ზუმას პარტიამ – 14-პროცენტი; მეოთხე ადგილზე, კომუნისტური და ნაციონალისტური პარტია „ეკონომიკური თავისუფლების მებრძოლები“, ხმათა 9 პროცენტით გავიდა. მმართველ პარტიას მთავარი დარტყმა ყოფილი პრეზიდენტის, ჯეიკობ ზუმას პარტიამ მიაყენა. ეს პოლიტიკური ძალა რამდენიმე წლის წინ გამოეყო მმართველ პარტიას. ჯეიკობ ზუმასა და ნელსონ მანდელას მიერ დაარსებულ პარტიას საერთო ელექტორატი ჰყავს, და მოხდა ისე, რომ მომავალ პარლამენტში, ზუმას პარტიამ მმართველ ძალას ხმები და, შესაბამისად, ადგილები დააკარგვინა.

ყოფილი პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა დიდად გახარებულია, რომ მისთვის საძულველ პრეზიდენტ რამაფოსას მხარდამჭერი პოლიტიკური ძალისთვის ასეთი წინააღმდეგობის გაწევა შესძლო. ჯეიკობ ზუმა ცნობილი პოლიტიკოსია და მმართველი პარტიის ვეტერანი იყო. ის, როგორც ორგზის არჩეული პრეზიდენტი, ქვეყანას 2009-2018 წლებში მართავდა. ბოლოს, კორუფციის ბრალდებით, ყველა პოლიტიკური თანამდებობის დატოვება მოუწია. ქალზე ძალადობაშიც ჰქონდა ბრალი წაყენებული. ამბობენ, ყველა ამ სკანდალური ბრალდების უკან მისი შიდა-პარტიული კონკურენტი და ახლანდელი პრეზიდენტი, რამაფოსა იდგა. ჯეიკობ-ზუმამ ყველა ბრალდებიდან თავი დაიხსნა და ახლა შურისძიების დრო დაუდგა. ექსპერტებს უჭირთ პროგნოზის გაკეთება, მმართველი ძალა რომელ პარტიასთან შექმნის კოალიციას. ერთი რამ კი, ნამდვილად ცხადია: სამხრეთ-აფრიკამ ახალ პოლიტიკურ ერაში შეაბიჯა.

# მშვიდობისკენ გადადგმული ნაბიჯი თუ... ისევ რუსეთის გალიზიანებისკენ?!

**ორ წელზე მეტი გავიდა უკრაინის ომის დაწყებიდან და კონფლიქტს ბოლო არ უჩანს.** ვერც ერთი მხარე გამარჯვებას ვერ აღწევს. ეს ომი, ომია გამოფიტვაზე, და არავინ უწყის, როდის და როგორ დამთავრდება. ფრონტის ხაზის სიგრძე 2000 კილომეტრია და წარმატებული შეტევა მებრძოლთა რაოდენობის შეუფერხებელ ზრდაზეა დამოკიდებული, რაც ორივე მხარეს უჭირს, მაგრამ უკრაინა არა მხოლოდ ცოცხალი ძალის დეფიციტს განიცდის, არამედ, სამხედრო ტექნიკა და ტყვია-წამალიც აკლია. ამერიკის დახმარება კი, დროში გაიწელა, რამაც უკრაინა შესამჩნევად დახია უკან. უკრაინის დასუსტებით რუსეთმა ისარგებლა და მაისის დასაწყისში მისი არმია ხარკოვის მიმართულებით კონტრშეტევაზე გადავიდა. რამდენიმე დღეში, ათზე მეტი სოფელი აიღო. უკრაინის ჯარს უკან დახევა და ახალი პოზიციების გამაგრება მოუწია.

მოგვიანებით, უკრაინის მთავარსარდლობამ ძალები ხარკოვის ოლქის დასაცავად გადაისროლა. მოწინააღმდეგის კონტრშეტევის შესაჩერებლად, უკრაინის გენერალიტეტმა რუსეთის ნავთობ გადასამუშავებელ ქარხნებზე დრონებით მასირებული შეტევა მიიტანა. ამასობაში, უკრაინის წაგების შიშით, დასავლეთმა თავისი ძალების მობილიზაცია დაიწყო. ამერიკამ მოხსნა უკრაინისთვის დახმარების ბლოკადა. ევროპის ქვეყნებმა უფრო მიზანმიმართულად დაიწყეს უკრაინისთვის დახმარების გაწევა, რამაც, ფრონტის ხაზზე კარგად იმოქმედა. უკრაინის ძალებმა რუსეთზე კონტრშეტევა შეაჩერეს და ზოგიერთი დაკარგული პოზიცია დაიბრუნეს. სწორედ ამ დროს, დასავლეთმა, კერძოდ, გერმანიამ და საფრანგეთმა განწყობა შეცვალეს და უკრაინას მათ მიერ მიწოდებული რაკეტების რუსულ სამხედრო ობიექტებზე დარტყმებისთვის გამოყენების უფლება მისცეს. გარდა ამისა, საფრანგეთი მზადაა, უკრაინაში სამხედრო ინსტრუქტორები გაგზავნოს. ეს კი, რუსეთმა კიდევ ერთ გადაკვეთილ წითელ ხაზად მიიჩნია და დასავლეთს უკრაინაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებით დაემუქრა, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთმა უკვე ცალმხრივად გადაწყვიტა ყველაფერი იღონოს, რომ უკრაინამ ომი არ წააგოს. ორივე მხარე ცდილობს თამასის აწევას და ამ ომისგან მაქსიმალური პოლიტიკური შედეგის მიღებას.

ორივე მხარე ადრე დადგენილ წითელ ხაზებს კვეთს და არც ერთს არ სურს გაჩერება. უკრაინამ, დრონების მეშვეობით, იერიში კრასნოდარის ოლქში მდებარე რადიოლოკაციურ სადგურზე მიიტანა, რომელიც სარაკეტო თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემის ნაწილია. ასეთი სადგურების მეშვეობით ხდება ბალისტიკური რაკეტების მონიტორინგი და მათი




მთავარი მიზანი რუსეთისკენ გაშვებული ბირთვული რაკეტის აღმოჩენაა.

პარალელურად, უკრაინის პრეზიდენტი, ევროპელ ლიდერებთან ერთად, უკრაინის სამშვიდობო სამიტის ჩასატარებლად ემზადება, რომელიც 15-16 ივნისს შვეიცარიაში გაიმართება. ეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე, უკრაინისა და ამერიკის მიერ დიდი ხნის ნალოლიავები იდეაა, მაგრამ დაბრკოლება იყო მასში რუსეთის მონაწილეობა. ცხადია, უკრაინა და რუსეთი განსხვავებული თვალით უყურებს მომავალ სამიტს, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ რუსეთი შეხვედრის წინააღმდეგია. რუსეთს სურდა უფრო ნეიტრალურ ადგილზე და უკეთესად შეჯერებული საკითხების განხილვა. მოკლედ, სამიტი რუსეთის გარეშე გაიმართება, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა მისი მიზანშეწონილობა, რადგან ჩათვალა, რომ შეხვედრის ჩატარება რუსეთის გარეშე დაპირისპირებულ მხარეებს კიდევ უფრო დააშორებს. ევროპა და უკრაინა კი, ამ სამიტზე სერიოზულ ფსონს დებს. მათ სურთ, რომ შეხვედრას მძლავრი ეფექტი ჰქონდეს არსებულ საერთაშორისო ვითარებაზე. მერყევი ქვეყნების სამიტის აუცილებლობაში დასარწმუნებლად, ზელენსკიმ რამდენიმე ვიზიტი განახორციელა საზღვარგარეთ: სინგაპურში, უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში, ეგრეთ წოდებულ შანგრილას დიალოგში ჩაერთო, რომელშიც ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეობს.

თავისი მნიშვნელობით, ეს კონფერენცია მიუნხენის ყოველწლიურ კონფერენციას უტოლდება. შესაბამისად, ზელენსკის იქ გამოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გლობალური სამხრეთის ქვეყნები სწორედ აქ არიან წარმოდგენილი ყველაზე ფართოდ. კონფერენციაზე, ზელენსკიმ ჩინეთის ხმამაღალი და მწვავე კრიტიკა გადაწყვიტა. მან ჩინეთს პუტინის ინსტრუმენტი უწოდა და ქვეყანა რუსეთთან თანამშრომლობასა და შვეიცარიის სამშვიდობო სამიტის საბოტაჟის მცდელობაში დაადანაშაულა, დასძინა რა, რომ უკრაინას აქვს მტკიცებულებები, თუ როგორ ეხმარება ჩინეთი მოსკოვს ომის წარმოებაში.

პეკინის მიმართ ზელენსკის ასეთმა კრიტიკამ ჩინეთის ხელმძღვანელობა საშინლად გააღიზიანა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინეთი არც ერთ მხარეზე არ არის და ის მართლაც პატივს სცემს უკრაინის სუვერენიტეტს, მაგრამ სამიტი რუსეთის გარეშე აზრს კარგავსო! ჩინეთი კიდევ უფრო მეტად გააღიზიანა იმან, რომ, სინგაპურის შემდეგ, ზელენსკი ფილიპინებს ეწვია. ჩინეთსა და ფილიპინებს შორის ურთიერთობა სამხრეთ ჩინეთის ზღვის აკვატორიის გამო, დაძაბულია. ზელენკსი ფილიპინების პრეზიდენტს, მარკოსს შეხვდა, რომელმაც მზაობა გამოთქვა სამიტში მონაწილეობაზე. ერთი სიტყვით, სამიტს 107 ქვეყანა დაესწრება. უარი განაცხადა რუსეთმა, ჩინეთმა, საუდის არაბეთმა და პაკისტანმა. ინდოეთი წარმოდგენილი იქნება, მაგრამ არა უმაღლესი, არამედ საშუალო დონის სახელმწიფო მოხელეებით. საარჩევნო კამპანიის გამო, სამიტს, ბაიდენის ნაცვლად, ვიცე-პრეზიდენტი კამილა ჰარისი და პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ჯეკ სალივანი დაესწრებიან. ექსპერტთა აზრით, სამიტის შედეგად, უკრაინის საკითხში დიდი გარღვევის მოლოდინი არ უნდა იყოს, რაზეც პირდაპირ მიუთითებს ის, რომ მოწინაღმდეგე მხარე ღონისძიებაში არ მონაწილეობს. სამიტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შეხვედრაზე არ იქნება განხილული რუსეთის ქმედებები ფრონტის ხაზზე. მთავარი თემები შავ ზღვაში უსაფრთხო ნავიგაცია, ბირთვული, სასურსათო უსაფრთხოება და ჰუმანიტარული პრობლემები იქნება.

# ბრალდებული ტრამპი: ამერიკა ჯოჯოხეთად იქცა!

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისი ცხელ ფაზაში შევიდა და ნელ-ნელა ფინიშს უახლოვდება, თუმცა, კამპანიის მსვლელობა დონალდ ტრამპისა და ჰანტერ ბაიდენის სასამართლო პროცესებმა დაჩრდილა. ტრამპის რამდენიმეთვიანი სასამართლო პროცესი იმით დასრულდა, რომ ნიუ-იორკის ნაფიცმსაჯულთა სასამართლომ, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი წარდგენილ 34-ვე ბრალდებაში დამნაშავედ ცნო. ტრამპს ედავებოდნენ, რომ მან 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პორნოვარსკვლავს, ადვოკატის შუამავლობით, დიდი ოდენობის თანხა გადაუხადა, რომ ქალი გაეჩუმებინა. ქალბატონი დენიელსი ტრამპს დაემუქრა, რომ მათ სექსუალურ კავშირს 2016 წლის არჩევნების წინ გაასაჯაროებდა, რაც ტრამპის საარჩევნო კამპანიას საგრძნობლად დააზარალებდა.**





ერთი სიტყვით, ტრამპი ამერიკის პირველი ექსპრეზიდენტია, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო. საბოლოო ვერდიქტს მოსამართლე 11 ივლისს გამოიტანს.

მეორე გახმაურებული სასამართლო პროცესი ამერიკის პრეზიდენტის შვილს, ჰანტერ ბაიდენს ეხება. ესეც პირველი სასამართლო პროცესი იქნება ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის შვილის წინააღმდეგ. თუ ბრალი დაუმტკიცდა, ჰანტერ ბაიდენს 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სულ სხვა რამაა ტრამპის საქმე. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის რესპუბლიკური პარტიის მთავარი კანდიდატია, თანაც, როგორი კანდიდატი! მას მხარდამჭერთა უძლიერესი არმია ჰყავს. ეს რომ სხვა კანდიდატს მოსვლოდა, მისი რეიტინგი მკვეთრად დაეცემოდა. ტრამპის რეიტინგი კი, მისმა გასამართლებამ ვერ შეამცირა. უფრო მეტიც, სასამართლო განაჩენმა ტრამპის მხარდამჭერთა მობილიზება გამოიწვია. მაგალითად, განაჩენის გამოტანის შემდეგ, ტრამპის საარჩევნო შტაბმა, შემოწირულობის სახით, 53 მილიონი დოლარი მიიღო მომენტალურად. მისი საარჩევნო შტაბის განცხადებით, შემომწირველთა 30-მა პროცენტმა ტრამპს პირველად ჩაურიცხა ფული. ჩანს, მისი გასამართლება ამერიკის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ მოსწონს. რესპუბლიკელი პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ტრამპის დიდი მოტრფიალენი არ იყვნენ, ახლა, მას გვერდით უდგანან. მათი თქმით, ეს პროცესი ამერიკის ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერება.

**ეს ყველაფერი სამარცხვინოა, სასამართლო პროცესი გაყალბდა, ამერიკის მოსახლეობა 5 ნოემბერს გამოიტანს ჭეშმარიტ განაჩენს, ჩვენი ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცა, თქვა ტრამპმა სასამართლო დარბაზის დატოვების შემდეგ. დემოკრატების ბანაკი ჯერჯერობით დუმს. ისინი შიშობენ, რომ ტრამპის გასამართლება მათთვის დათვური სამსახური აღმოჩნდება, რადგან, მიუხედავად ძველი სკანდალების მოუშორებელი შლეიფისა, ტრამპის რეიტინგი არ ეცემა. მას ტეფლონის პოლიტიკოსი დაარქვეს, რადგან ჭუჭყს არ იკარებს. საგონებელში ჩავარდნილი დემოკრატები კითხვას სვამენ, მიზანშეწონილი თუ იყო ტრამპის გასამართლება საარჩევნო წელს, ამით, საკუთარ თავს ხომ არ გამოვუტანეთ ვერდიქტიო...**



**ნუგზარ (ბ) რუხაძე,**
**POSTV**

# იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი საქართველოშია!



**ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე წარმოდგენილია ქართული ხელნაწერი სინას მთის კოლექციიდან (V-VII საუკუნეები) არამეულ და ქართულ ენებზე. ტექსტის ნაწილი ბერი იოანე ზოსიმეს მიერაა გადაწერილი და მისი ფასი 1, 000 000 – 1, 500 000 გირვანქა სტერლინგია.**

ის ქრისტიანული პალესტინის არამეულ ენაზე შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტია. დასავლურ არამეულ დიალექტს მელქის ქრისტიანული საზოგადოება პალესტინასა და ტრანსიორდანიაში V-XIII საუკუნეებში იყენებდა. ის შემონახულია მხოლოდ რამდენიმე წარწერაში, პალიმფსესტსა (ხელნაწერი, რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად) და ხელნაწერში. ხელნაწერი შეიცავს სახარებების ყველაზე ადრეულ ტექსტებს არამეულის უახლოეს დიალექტზე – იესოს დიალექტზე.

პალიმფსესტი გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის, ავტორის, მთარგმნელისა და წიგნის შემკვრელის ბერი იოანე ზოსიმეს მიერ. დაწერილია ქართული ტექსტით და შემორჩენილია მე-10 საუკუნის სინას წმინდა ეკატერინეს მონასტერში.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ხელნაწერები მარტინ შოიენის კოლექციიდანაა.

1955 წლის ზაფხულში ფლორენციაში 15 წლის მარტინ შოენმა შეიძინა თავისი პირველი ანტიკვარული წიგნი – ფრანგული ქადაგებების ხელნაწერის ფრაგმენტი – 1300 წ. ამ ხელნაწერის შეძენიდან დაიწყო ოდესმე შეკრებილი ხელნაწერების ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი კოლექციის ისტორია.

1980-იანი წლების ბოლოს მარტინ შოენი და მისი კოლექცია ცნობილი გახდა აუქციონის სახლებისთვის, მეცნიერებისა და დილერებისთვის. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი მასშტაბისა და ხარისხის კოლექციის შეგროვება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტინ შოიენმა წარმატებას მიაღწია.

**კოლექცია მოიცავს 1300 კულტურის ისტორიის ძეგლს და მსოფლიო მემკვიდრეობის ისეთ ხელნაწერებს, როგორებიცაა კროსბი-შოიენის კოდექსი, ჰოლხამის ებრაული ბიბლია, Codex Sinaiticus Rescriptus da Geraardsbergen ბიბლია, ასევე ბერძნული ლიტერატურა, ჰუმანისტური შედევრები, ადრეული ინგლისური სამართალი, შოტლანდიური მატიანე და სხვ.**

# ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი



**13 ივნისს სრულიად მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს ამაღლების დღესასწაულს, რომლის ტროპარია: „ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩვენო და მხიარულ ჰყვენ მოწაფენი აღთქმითა მის სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მხსნელო სოფლისა“...**

სახარების მიხედვით, ამაღლება აღდგომიდან მეორმოცე დღეს იდღესასწაულება... იესო ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად იერუსალიმიდან ბეთანიისაკენ გაემგზავრა. ის ელეონის მთაზე ესაუბრა მოციქულებს ღვთის სასუფევლის შესახებ და მოუწოდებდა, დარჩენილიყვნენ იერუსალიმში სულიწმინდის მოფენამდე. იესომ დამოძღვრა ისინი და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა!

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოწაფეთა თვალთაგან ღრუბელმა დაფარა იესო ქრისტე. მოულოდნელად მოესმათ მათ ხმა ზეციური მაცნესი, რომელიც ამცნობდა: **„ესე, იესუ, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცით, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.**

**P. S. ამაღლების დღეს მოიხსენიება ქართველი მოწამენი, რომელნიც ფერეიდანში (ირანი) სპარსთაგან ქრისტეს სარწმუნოებისთვის ამოწყვიტეს.**

**გიული ლიპარტია**

# „ოლე“ №2

**გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2024 წლის II ნომერი.**

ჟურნალმა „ოლემ“ კულტურის სამინისტროს კონკურსში უკვე მეექვსედ გაიმარჯვა. სწორედ ამ მოვლენას ეძღვნება ჟურნალის საწყისი გვერდი.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება **თინათინ თელაველის, გიული ჩიხიაშვილის, მანანა შიოშვილის, რაჟდენ მექვევრიშვილის, მარიამ კაპანაძის, ნათელა ქურციკიძის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანის „სად არის ბედნიერება“ დასასრული, **ხათუნა გოზალიშვილის, კახაბერ პავლიაშვილის, ივეტა პავლიაშვილის** პროზაული ნაწარმოებები.

რუბრიკაში „დოკუმენტური პროზა“ იბეჭდება **ელგუჯა თავბერიძის** „პირველი მგზავრი“ და „ტურფა ყვავილი“.

რუბრიკით „ბავშვებისთვის საკითხავი“ გაეცნობით **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსებს.

„კრიტიკა-პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში წაიკითხავთ **მარიამ ნადარეიშვილის** „ნადირობის სიმბოლიკა და წარმომავლობა ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

რუბრიკით „წიგნები“ იხილავთ **ეთერ ანაშვილის** წიგნს „მომყავს აპრილი“.

თელავის მე-4 საჯარო სკოლას ასი წლის იუბილეს ლექსით ულოცავს **ნუნუ ძამუკაშვილი.**




ჟურნალში იბეჭდება ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ საფესტივალო ლექსები.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი**) და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

# ეთნოსპორტის საბრძოლო ხელოვნების პირველი ჩვენება




**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობითა და ასოციაციის „წინაპარი” ორგანიზებით კახეთში, ლევან მეფის ისტორიული ციხე-სიმაგრის გალავნის ტერიტორიაზე, ეთნოსპორტის საბრძოლო ხელოვნების პირველი ფესტივალი – „ეთნო ჯორჯია 2024“ – ჩატარდა.**

ეთნოსპორტის ფესტივალი სხვადასხვა ქვეყნის გამორჩეულ და უნიკალურ კულტურას წარმოაჩენს. საქართველოსთან ერთად წელს ფესტივალში მონაწილეობდა ევროპისა და აზიის ექვსი ქვეყანა – ნორვეგია, ესპანეთი, იტალია, ყაზახეთი, იაპონია და თურქეთი.

ფესტივალის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს სიტყვით მიმართეს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე იოსებ ბაღათურიამ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ, ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიო კონსულმა საქართველოში ირაკლი კაკალაძემ, ასოციაციის „წინაპარი“ დამფუძნებელმა გიორგი შიუკაშვილმა და ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი).

გახსნის ცერემონიაზე თამარ ივერმა საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

ლევან მეფის ციხესიმაგრის ეზოში მონაწილე ქვეყნების ისტორიისა და საბრძოლო ხელოვნების პრეზენტაცია მოეწყო. ასევე, გაიმართა ქართული იარაღის, სამზარეულოსა და ღვინის პრეზენტაცია. ჩატარდა ქართული ჭიდაობისა და ხრიდოლის საჩვენებელი ორთაბრძოლები.



ღონისძიებაში მონაწილეობდა იარაღის მუზეუმი, რომელმაც ქართული იარაღები წარუდგინა დამთვალიერებლებს.

საღამოს მთარგმნელი და ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე უძღვებოდა. გახსნის ცერემონია დასრულდა გალაკონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „რუსთავი“, „სუხიშვილების აკადემია“, თამარ გვერდწითელი, თამარ ივერი, ხრიდოლის ფედერაციასთან არსებული ანსამბლი „იბერია“, ანსამბლი „შილდა“ და ოთო ბაზერაშვილი.

# ბათუმში ზაფხულის ფესტივალი 15 ივნისს გაიხსნება




**15-16 ივნისს, ბათუმში ზაფხულის ტურისტული სეზონი „ზაფხულის ფესტივალით“ საზეიმოდ გაიხსნება. ყველაზე ფერადი ფესტივალი, რომელსაც ბათუმი ყოველწლიურად მასპინძლობს, წელსაც ანბანის კოშკთან გაიმართება და მასზე დასწრება მსურველებს უფასოდ შეეძლებათ. ჩატარების ადგილის მსგავსად უცვლელი იქნება ფესტივალის სლოგანიც „ზაფხული იწყება აქ“. ულამაზესი საზაფხულო-საზღვაო დეკორაციებითა და ინსტალაციებით გაფორმებულ საფესტივალო სივრცეში სტუმრებს საშუალება ექნებათ, გაერთონ, დაისვენონ და მრავალფეროვან მუსიკალურ შოუს დაესწრონ.**

ფესტივალი 18 საათზე, დრამერების შოუთი და პანტომიმის მსახიობების კოსტიუმირებული მსვლელობით გაიხსნება. მუსიკალური პროგრამის პარალელურად, რომელსაც ადგილობრივი და მოწვეული ბენდები წარმოადგენენ, ბავშვებისთვის ჩატარდება თითების თეატრი, სთრით არტი, ილუზიონისტების შოუ, თიხის ძერწვის მასტერკლასები და სხვა საბავშვო აქტივობები. ფესტივალის სივრცეში 15-მდე ლაუნჯი და კაფე-ბარი სტუმრებს საზაფხულო მენიუს შესთავაზებს. იქვე მოეწყობა ხელნაკეთი ნივთების საგამოფენო სივრცეც. ზაფხულის ფესტივალს წელსაც დაამშვენებს ფრანების შოუ. ფესტივალი გასული წლის მსგავსად ორდღიანი იქნება.

◎ პატივგება

# ხაბელოვიც დაგვიფასეს



**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების რიგით 53-ე გენერალური ასამბლეა.**

გენერალური ასამბლეის წინაშე პრეზენტაციით წარსდგა 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ დარჩიაშვილი**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დეტალური ინფორმაცია ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის გაწეული სამუშაოს და სამომავლო გეგმების შესახებ. აღნიშნულმა პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა დელეგატთა შორის. ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის ძირითადი შეჯიბრებები ბაკურიანში გაიმართება, ხოლო ცალკეულ სახეობებს ასევე უმასპინძლებენ თბილისი და ბათუმი.

მოახლოებულ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სეოკ-ის პრეზიდენტს **ლერი ხაბელოვს** სპეციალური ჯილდო – ოლიმპიური ვარსკვლავი გადასცა ლიეტუვას ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დაინა გუდზინევიჩუტემ.

გენერალურ ასამბლეას საქართველოდან ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ბაკურიანი 2025 – ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ხაზარელი**, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი **რუსუდან აფციაური** და „ბაკურიანი 2025"-ის სხვა ხელმძღვანელი პირები.

◎ ორიოდე სიტყვით

**ძიუდო**

**მადრიდის** ღია პირველობა. **ოქრო** – ლაშა ბექაური (90 კგ). **ვერცხლი** – ვლადიმერ ახალკაცი (81 კგ).

**თავისუფალი ჭიდაობა**

**ბუდაპეშტი.** სარეიტინგო ტურნირი – **ოქრო** – ოთარ ბაგაური (79 კგ), მირიან მაისურაძე (92 კგ). **ვერცხლი** – იუზა ცერცვაძე (92 კგ). **ბრინჯაო** – აკაკი ქემერტელიძე (70 კგ), ევსევ შველიძე (86 კგ), გივი მაჭარაშვილი (125 კგ), გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

**ნიჩბოსნობა**

**პოზნანი** (პოლონეთი). მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი კანოესა და კაიაკში. **ვერცხლი** – ზაზა ნადირაძე. **ბრინჯაო** – ბადრი ყაველაშვილი.

**რუმინეთი.** ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი. **ვერცხლი** – ნიკა ოდიშელიძე – თენგიზ მაღრაძე, ნიკოლოზ ჭეიშვილი – სანდრო თეზელაშვილი. **ბრინჯაო** – ნიკა ოდიშელიძე, ნიკოლოზ ჭეიშვილი.

**კალათბურთი**

**ნბა.** სუპერფინალური სერია. ბოსტონი – დალასი 105:98 (2:0).

**ჰოკეი**

**ნჰლ**-ის სუპერფინალური სერია. ფლორიდა – ედმონტონი 4:1 (2:0).

**ხელბურთი**

**კიოლნი** (გერმანია). ჩემპიონთა ლიგა. **ფინალი.** ბარსელონა – ოლბორგი (დანია) 31:30.

**წყალბურთი**

**ლა ვალეტა** (მალტა). ჩემპიონთა ლიგა. **ფინალი**. ფერენცვაროში (უნგრეთი) – პრო რეკო (იტალია) 12:11.

**ჩოგბურთი**

**პარიზი** (საფრანგეთი). როლან გაროსი. ფინალი. **ვაჟები.** ალკარასი (ესპანეთი) – ზვერევი (გერმანია) 3:2. ეს ალკარასის მესამე დიდი სლემია. **ქალები.** სვიატეკი (პოლონეთი) – პაოლინი (იტალია) 2:0.



◎ გენერალური რეპეტიცია

# დოპინგი მიღებულია!



**უპირველესად, გილოცავთ ევრო – 2024-ში ისტორიულ დებიუტამდე მოპოვებულ იმ გამარჯვებას, რომელმაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ავსტრიულ შეკრებაზე აკრეფილ კონდიციებსა და იმ ამბიციების საფუძვლიანობაზე, 26 მარტიდან მოყოლებული რომ არ გვასვენებს და თანდათან ოპტიმიზმის ჭაობში გვითრევს – რატომაც არა, ხომ შეიძლება ჩვენც დავამტკიცოთ, რომ მადა ჭამაში მართლაც მოდის და თუნდაც ჯგუფური ეტაპი დავძლიოთ წარმატებით?**

**პოდგორიცა. ამხანაგური მატჩი**
**მონტენეგრო – საქართველო 1:3**
**პირველი ტაიმი 0:2**

**საქართველო:** მამარდაშვილი, გველესიანი, კაშია, დვალი, კაკაბაძე, ქოჩორაშვილი (მექვაბიშვილი), კიტეიშვილი (კვეკვესკირი), ჩაკვეტაძე (ალთუნაშვილი), შენგელია (წიტაიშვილი), კვარაცხელია (დავითაშვილი), მიქაუტაძე (ზივზივაძე).

**სათადარიგოები:** ლორია, გუგეშაშვილი, გოჩოლეიშვილი, ქვილითაია, ლობჟანიძე, სიგუა, ტაბიძე, ლოჩოშვილი.

**მწვრთნელი:** ვილი სანიოლი.

ბუნებრივია, ერთი შეხვედრა გუნდის ჭეშმარიტ შესაძლებლობათა შესაფასებლად ნამდვილად არაა საკმარისი, თუმცა მოახლოებული საფეხბურთო ზეიმის გათვალისწინებით ვალდებულნი ვართ შევეცადოთ მაინც, რომ ობიექტური სურათი დავხატოთ. მაშ ასე:

დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში თამაშის რიტმს ჩვენ ვაკონტროლებდით და თითქმის ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ ის მეტოქე, რომელთანაც აქამდე უარყოფითი ბალანსი გვქონდა (2009 წლის შესარჩევი ციკლი – 0:0 შინ და 1:2 სტუმრად);

განსაკუთრებით თვალში საცემი გახლდათ მაღალ ტემპში კომბინაციურ და ინდივიდუალურ იერიშებზე ჰარმონიულად აწყობილი ტაქტიკა, რაც ასევე გულისხმობდა ბურთის დაკარგვისთანავე მის დასაბრუნებლად მაშინვე ბრძოლაში ჩაბმასა და მოწინააღმდეგის მოგუდვას;

ვინაიდან გერმანული ფორუმის სასტარტო გამოცდის ჩაბარებამდე ერთი კვირა გვრჩება, დარწმუნებულნი ვართ, პიკამდე ჯერ არ მიგვიღწევია და კიდევ მოვუმატებთ, ამიტომ პერიოდულად ინიციატივის დათმობა საგანგაშოდ არ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა იმ ფაქტმაც უნდა დაგვაფიქროს, რომ გამორჩეულად მაშინ გაგვიჭირდა, როცა მინდორზე მასპინძელთა ერთადერთი უმაღლესი კლასის სოლისტი, ოლიმპიაკოსის შემადგენლობაში კონფერენს ლიგის ამასწინანდელი საკმაოდ დამძიმებული ტრიუმფატორი იოვეტიჩი გამოჩნდა და ლოგიკურიცაა, სწორედ მან რომ გაგვიტანა პრესტიჟის გოლი.

ამჯერადაც ღირსეულად გამოიყურებოდნენ ჯვაროსანთა ლიდერები და არ გაგვკვირვებია კიტეიშვილისა და მიქაუტაძის ზუსტი დარტყმები, თანაც ეს უკანასკნელი ფილიგრანული გადაცემით კვარაცხელიამ დაასაჩუქრა, მაგრამ სასურველი იქნება, თუ სახიფათო მომენტებს ოფიციალურ სარბიელზე უკეთესად გამოიყენებენ.

როგორც მოგეხსენებათ, კვირკველია ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ამიტომ მკაცრად ნუ განსჯით დაცვის ცენტრში მის 33 წლის შემცვლელს გველესიანს, ვინც პირველად მოირგო ეროვნული ნაკრების მაისური და ანგარიშის გახსნაში კუთხურის შემდეგ პირადი წვლილიც შეიტანა.

რაც შეეხება ავსტრიაში საკლუბო სეზონის დუბლის ავტორსა და ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულ კიტეს ტრავმას, მისი სირთულე ამ დღეებში დაზუსტდება, მაგრამ საიმედოდ ის გვესახება, რომ სარბიელი თავისით, სხვათა დაუხმარებლად დატოვა.

მოკლედ, ბიჭები უკვე გერმანიაში არიან და აღნიშნული გამარჯვებით ფრთაშესხმულნი განაგრძობენ დორტმუნდში 18 ივნისს თურქებთან შესაბმელად მზადებას.



ჯვაროსნები გერმანიაში ჩაფრინდნენ

◎ უმაღლესი სკოლა

# სტუდენტობას ილამაზებენ

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა სპორტულ ცხოვრებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ტრადიციისამებრ, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტმა გაზაფხულის დასკვნით სემესტრში არაერთი აქტივობა ჩაატარა.**

მათ შორის ყველაზე დიდ გამოხმაურებას უკვე წლებია, შიდასაუნივერსიტეტო პირველობის ფეხბურთის ტურნირი იმსახურებს. ჩემპიონატში მონაწილეობა 30-მა გუნდმა მიიღო, სადაც მოთამაშეებს ჯგუფური ეტაპის დაძლევა და შემდეგ ფინალების თამაში მოუწიათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აერთიანებს 80-ზე მეტი ქვეყნის სტუდენტს და, რა თქმა უნდა, ისინი ქართველ სტუდენტებთან ერთად მსგავს აქტივობებში დიდი სიხარულითა და მონდომებით ერთვებიან.

თსსუ-ის 2024 წლის საგაზაფხულო საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებული უცხოელი სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდი – „ფარმერს" გახდა. ისინი 7 მაისს ფინალში ასევე უცხოელ სტუდენტთა გუნდს – „კასანდრა" დაუპირისპირდნენ.

გამარჯვებულის ბედი უშედეგო დამატებითი ტაიმების შემდეგ პენალტების სერიამ გადაწყვიტა, სადაც „ფერმერებმა" იმარჯვეს.

გამოვლინდა მატჩის საუკეთესო მეკარეც – სამერი, რონელმაც ტრავმის მიუხედავად მთელი ჩემპიონატის განმავლობაში საკუთარი გუნდის კარი დიდი ოსტატობით დაიცვა.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მატჩი საკმაოდ სამართლიანად წარიმართა, რაშიც უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი მთავარ მსაჯს, ქართული სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს **ვახტანგ ბაქანიძესა** და ასისტენტ მსაჯს, თსსუ-ის სპორტული მედიცინის რეაბილიტაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს **ლაშა ბაქაქურს**, რომელიც ამავდროულად მე-5 კატეგორიის მსაჯიცაა. თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა დიდ მადლობას ვუხდით მათ გაწეული შრომისა და პროფესიონალიზმის გამო.

აღსანიშნავია თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თათა ღვინაძის პროფესიონალიზმიც, რომელიც მთელი სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს უძღვებოდა და სტუდენტთა ჯანსაღ ცხოვრებას უწყობდა ხელს.

ტურნირი ვერ შედგებოდა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ლადო გაბეჩავას და ვიცე-პრეზიდენტების დაჩი ლაკვეხელიანის, ციცი პაპუნაშვილისა და მარიამ მერაბიშვილის მხარდაჭერისა და ჩართულობის გარეშე. ასევე განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი თსსუ-ის სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ გიგი შუბითიძეს, რომლის დახმარებითაც უკვე წლებია, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები საუცხოო შედეგს დებენ როგორც შიდასაუნივერსიტეტო ტურნირებში, ასევე უნივერსიტეტის გარეთაც.

**ციცი პაპუნაშვილი,**
**თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი**






# ყაზბეგში არადეკლარირებული ოქრო შემოჰქონდათ!

**მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში - „ყაზბეგი“, მებაჟე ოფიცრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქის ეჭვის საფუძველზე, სხეულის რენტგენო სკანერით დათვალიერების შედეგად, 3 სხვადასხვა შენადნობად დამზადებული 1,6 კილოგრამი არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს (აღნიშნული შენადნობები მოქალაქეს სხეულზე მალულად ჰქონდა განთავსებული).

არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ - 332 907,84 ლარი შეადგინა.

კანონდამრღვევი მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# ზუკა ბერძენიშვილზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო!

**აქტივისტ ზუკა ბერძენიშვილზე თავდასხმის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.**



„სირცხვილიას“ წევრს სახლთან თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. აქტივისტების ინფორმაციით, ბერძენიშვილს სამი პირი ზურგიდან მიეპარა და ფიზიკურად გაუსწორდა. ის ბოჭორიშვილის კლინიკაში გადაიყვანეს. ბერძენიშვილს გამოკვლევები ჩაუტარდა.

ექიმი ილია ოქროჯანაშვილი აცხადებს, რომ ბერძენიშვილს აღენიშნება სახის მიდამოზე რბილი ქსოვილების ტრავმა. ამ ეტაპზე, იმყოფება კვლევის პროცესში. დინამიკაში განვსაზღვრავთ მკურნალობის ტაქტიკას...

# ალურიცხავი სიგარეტი მებაჟეებმა აღმოაჩინეს!

**ბოლო ორი კვირის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „ყაზბეგი“ და „სადახლო-საავტომობილო“, დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, რისკის პროფილისა და ეჭვის საფუძველზე, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 88 280 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი (მათ შორის ელექტროსიგარეტი) აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-31 ნაწილის შესაბამისად, 3 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, სრულად ჩამოერთვა საქონელი და ვინაიდან ქმედება განმეორებით იყო ჩადენილი, თითოეულს, ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით შეეფარდა.

სულთათანა

# გურამ გომართელის ხსოვნას

ქართული ეროვნული, ოჯახური ტრადიციების ერთგულ, საქართველოში ცნობილ საგვარეულოს ღირსეულ წარმომადგენელ **გურამ გომართელს** რუსთაველისეული კაცთმოყვარეობა ედგა გზად და ხიდად.

ამ გზით შემოვიდა იგი საჩხერის საზოგადოებაში როგორც მუნიციპალიტეტის ერთ - ერთი გამორჩეული ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეულის - გორისის ხელმძღვანელი და უმალვე დაიმკვიდრა ნდობის, მეგობრობის, საქმისადმი ერთგულების, უღალატო პიროვნების საკუთარი ნიშა.

იყო ინიციატორი, მხარდამჭერი, თანამდგომი, კარგი საქმეების კეთების მოთავე და წამქეზებელი.

ყოველივე ამ ნამოქმედარით ჩვენს უზომო მადლიერებას თან გასდევს უძირო სევდა და მწუხარება იმის გამო, რომ ძლიერმა სენმა დიდი ხნით მოწყვიტა ქვეყნის სამსახურს და არ დასცალდა შესაძლებლობების სრულად რეალიზება.

თუმცა, რაც დასცალდა, ისიც საკმარისია მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

**ცეზარ ლაშხი, ოლეგ მაჭავარიანი, გელა ჩხიტუნიძე, ტარიელ არჯევანიძე, თამაზ კასრაძე, ჯონდო მაისურაძე, თამაზ დოლიძე, მიხეილ მიქაბერიძე, ილია გეგეშიძე, ირაკლი ტეფნაძე, ბადრი ლომაურიძე, მურთაზ გაბაძე, ჯანიკო მეტონიძე.**

# ახალციხეში ყირიმ–კონგოს შემთხვევა გამოვლინდა

**ბოლო ერთ თვეში ახალციხის მუნიციპალიტეტში ყირიმ–კონგოს სამი ახალი შემთხვევა გამოვლინდა.**

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების სამი შემთხვევიდან, ერთი ვალეში, ხოლო ორი სოფელ აგარაში დადასტურდა.

სამივე პაციენტი სამკურნალოდ თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადაიყვანეს.

# ჯო ბაიდენის შვილი ჰანტერ ბაიდენი სასამართლომ დამნაშავედ ცნო

**აშშ-ის პრეზიდენტის შვილი ჰანტერ ბაიდენი სამივე ბრალდებაზე ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს.**

ჰანტერ ბაიდენს 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 750 000 დოლარამდე ჯარიმა ემუქრება.

როგორც „სი ენ ენი“ წერს, გადასახდელი ჯარიმა, შესაძლოა ბევრად ნაკლები იყოს, რადგან ჰანტერ ბაიდენს ნასამართლობა არ აქვს.

ჰანტერ ბაიდენმა 2018 წელს „კოლტის“ ტიპის რევოლვერის ყიდვისას, ოფიციალური დოკუმენტებში იცრუა, რომ ნარკოტიკულ საშუალებას აღარ მოიხმარდა. კიდე ერთი ბრალდება უკავშირდება პრეზიდენტის შვილის მიერ იარაღის ფლობის პერიოდში ნარკოტიკების მოხმარებას. აშშ-ის ფედერალური კანონის მიხედვით, ნარკოტიკების მომხმარებლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა დანაშაულია.



# მასწავლებლების ხელფასი იზრდება

**განათლების მინისტრის გიორგი ამილახვრის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, ივლისიდან მასწავლებლების შრომის ანაზღაურება ახალ სახელფასო სისტემაზე გადადის.**



„ახალი სახელფასო სისტემით ყველა მასწავლებელს ანაზღაურება გაეზრდება, ბუნებრივია მაღალი საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში ზრდა უფრო დიდი იქნება და სრულ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლების 70%-ს ანაზღაურება საშუალოდ 500 ლარით გაეზრდება.

ახალი სახელფასო სისტემის მთავარი პრინციპი ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სამართლიანი, გამჭვირვალე ანაზღაურების სისტემის შექმნაა.

ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, ბუნებრივია სისტემა შეიმუშავებს მხარდამჭერ მექანიზმებს, რათა მასწავლებლებმა შეძლონ პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „პარვუს ბასრას“ მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბჟუჟას ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) ექსპლუატაციის (სიმძლავრეების გაზრდა), 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 26 ივნისი, 15:00 საათი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის საჯარო სკოლის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 1 ივლისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 3 ივნისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ვენტო ენერჯის“ მიერ ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ბრეთთან, 43.75 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 35 კვ მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის, 110 კვ ქვესადგურის და 110 კვ მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 28 ივნისი, 12:00 საათი, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ბრეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 28 ივნისი, 15:30 საათი, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ფცას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 1 ივლისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 3 ივნისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

## გილოცავთ!

უღრმესი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ვულოცავთ 65-წლოვან იუბილეს წიგნიერი საზოგადოების ღირსეულ წევრსა და ქართული სპორტის ნაღდ ქომაგს, სენაკის საამაყო შვილსა და პროფესიონალ ეკონომისტს, რაიონის საფინანსო განყოფილების ყოფილ უფროსსა და გამგებლის ყოფილ პირველ მოადგილეს, მრავალშვილიანი ოჯახის სამაგალითო თავკაცსა და დიდი სამეგობროს ჭეშმარიტ მშვენებას

**გია მიქაიას**

და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და პირად ბედნიერებას

**ბადრი ბარკალაია, გია ოჩიგავა, შაქრო კვირკია, გურამ გოგოლი, გია პლატონიშვილი**

# „სილამაზე მოძრაობაში“

**დღეს, 12 ივნისს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მონაკოს სამეფოში მოღვაწე ქართველი პრიმა ბალერინა ირმა ნიორაძის შემოქმედების 35 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდებით „სილამაზე მოძრაობაში“ გაიხსნება.**

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება 22-ზე მეტი საცეკვაო კოსტიუმი, რომლითაც სხვადასხვა ბალეტებში არაერთი მთავარი როლი შეუსრულებია მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენაზე.

აქ ყველა კაბას საკუთარი პერსონალური ისტორია აქვს, ბალეტში ტექნიკური მხარე უდაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ ილეთების კომბინაციების მოყვანა საკმარისი არ გახლავთ. ყველაზე მთავარი აქ ბალეტის სიუჟეტის გაცოცხლებაა. ვიდრე პრიმა ბალერინა მაყურებლის წინაშე წარსდგება, სარეპეტიციო დარბაზში სარკის წინ საკუთარ თავთან მარტო რჩება და როლის დახვეწაზე მუშაობს. დაუღალავი შრომა და უშრეტი ენერგია – უამრავ გათენებულ ღამესთან ერთად გამარჯვების და მაყურებლისათვის უცნობი შემოქმედებითი ღელვის ემოცია, მხოლოდ სარკის წინ, სწორედ ამ აპოლოგეტის გმირებმა იციან და იმ სამოსმა, რომლითაც საზოგადოების წინაშე




არაერთხელ დამსახურებული ოვაცია მიუღია.

აღნიშნული გამოფენა საქველმოქმედო ხასიათის გახლავთ და ის თბილისის შემდეგ ბორდოში და მონაკოში გადაინაცვლებს.

ბალერინა ირმა ნიორაძის ყველაზე დიდი ემოციის, წარმატების ცრემლის და სპექტაკლის დაწყებამდე გულის ცემის მესაიდუმლე სწორედ, რომ მისი საცეკვაო კაბების უნიკალური კოლექცია გახლავთ.

გამოფენა „სილამაზე მოძრაობაში“ მუზეუმში 16 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება და დამთვალიერებელს მისი ნახვა უფასოდ შეეძლება.

# საუკეთესო ფილმი — „მოქალაქე წმინდანი“




**ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორაში 1 ივნისიდან მიმდინარე საერთაშორისო კინოფესტივალზე „IFF Golden Linden-2024“ საქართველოს, საფრანგეთისა და ბულგარეთის ერთობლივმა პროდუქციამ, რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილის ფილმმა – „მოქალაქე წმინდანი“ – საუკეთესო ფილმისთვის ფესტივალის ჯილდო დაიმსახურა.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფილმი გადაღებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და არის არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი.

გამარჯვებული ფილმი დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდა და მან საერთაშორისო ჟიურის მაღალი შეფასებები მიიღო.

რეჟისორმა თინათინ ყაჯრიშვილმა ვიდეოჩართვის საშუალებით მიმართა აუდიტორიას და მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებსა და ჟიურის ფილმის მაღალი შეფასებისთვის.

# ქართული პასპორტი რეგიონში ლიდერია



**საკონსულტაციო ფირმა Henley&Partners-მა 2024 წლის მსოფლიოს ყველაზე ძლიერი პასპორტების რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგში პირველ ადგილს საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, სინგაპური და ესპანეთი იყოფენ. აღნიშნული ქვეყნების პასპორტებით უვიზო მიმოსვლა 194 ქვეყანაშია შესაძლებელი. ბოლო ადგილზეა ავღანეთი, მისი პასპორტით უვიზო გადაადგილება მხოლოდ 28 ქვეყანაში შეიძლება.**

რაც შეეხება საქართველოს, რეიტინგში 51-ე ადგილს იკავებს. ქართული პასპორტით უვიზო გადაადგილება ნებადართულია 122 ქვეყანაში. ქვეყანას რეგიონში ყველაზე კარგი შედეგი აქვს. კერძოდ, მეზობელი ქვეყნების რეიტინგი ასე გამოიყურება:

რუსეთი – 52-ე ადგილი უვიზო მიმოსვლა 120 ქვეყანაში;

თურქეთი – 53-ე ადგილი – უვიზო მიმოსვლა 118 ქვეყანაში;

აზერბაიჯანი – 72-ე ადგილი – უვიზო მიმოსვლა 72 ქვეყანაში;

სომხეთი 75-ე ადგილი – უვიზო მიმოსვლა 69 ქვეყანაშია შესაძლებელი.

# კვიპროსელი იუთუბერი — ევროპარლამენტში

**ევროპარლამენტში 24 წლის იუთუბერი მოხვდა. კვიპროსში ამომრჩევლებმა იუთუბვარსკვლავი ფიდიას პანაიაიოტოუ დამოუკიდებელ დეპუტატად აირჩიეს.**



თავისი ხუმრობებითა და კომედიური ვიდეორგოლებით ცნობილ ფიდიასს იუთუბზე 2,6 მილიონი გამომწერი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება და საკუთარ თავს „პროფესიონალს უწოდებს შეცდომების დაშვებაში“, მისმა კამპანიამ ახალგაზრდა ამომრჩევლების დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა.

# ჩარლზ III-ის თხა გაიყიდა

**პატარა კერამიკული ფიგურა კანადელმა მფლობელმა, რეიმონდ პატენმა ინგლისში მდებარე სააუქციონო სახლს 2 კვირის წინ გადასცა. შეძენით ბევრი ადამიანი დაინტერესდა, რამაც ნავარაუდები ფასი, ფაქტობრივად, გააათმაგა.**



პატენს თხა 21-ე დაბადების დღეზე დეიდამ გადასცა საჩუქრად. იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში მზარეულად მუშაობდა. როგორც გაირკვა, უნივერსიტეტში სწავლისას რეიმონდის დეიდა და პრინცი ჩარლზი დაბობოქრობდნენ. სანამ ჩარლზი კემბრიჯს დატოვებდა, ხელნაკეთი ფიგურა მეგობარს თავადვე უსახსოვრა.

წლების განმავლობაში ქალი თიხის თხას განსაკუთრებულად ინახავდა. ბოლოს ის პატენის ხელში აღმოჩნდა, 55 წლის შემდეგ კი აუქციონზეც გავიდა. ახალი მფლობელის ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. ცნობისთვის, მეფე ჩარლზ მესამე ახალგაზრდობაში მრავალი ჰობით იყო გატაცებული, მათ შორის, სახელოვნებო მიმართულებითაც. იგი რამდენიმე ნახატის ავტორია. გარდა ამისა, ჩარლზი სათხილამურო სპორტისა და თევზაობის მოყვარულია.

# ახალი ვაქცინა „დაანონსებული“ პანდემიისთვის

**აშშ-ში ფრინველის გრიპი გავრცელებას განაგრძობს და უკვე გამოჩნდა ცხოველიდან ადამიანზე გადადების პირველი შემთხვევებიც. ჯანდაცვის ექსპერტები შიშობენ, რომ ვირუსმა შეიძლება ადამიანიდან ადამიანზე გადადების უნარიც გამოიმუშაოს.**

ამჟამად ასეთი შემთხვევის მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ ახალ კვლევაში მიმოიხილეს, შემუშავების პროცესში მყოფმა რომელმა ვაქცინებმა შეიძლება დაგვიცვას ამ ვირუსისგან, თუკი ის ადამიანიდან ადამიანზე გავრცელდება. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია წინა ცდების შედეგად დარჩენილი ასობით ათასი დოზა ვაქცინა, მაგრამ არსებობს კითხვები, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება ისინი ფრინველის გრიპის უახლესი შტამის წინააღმდეგ და რამდენად სწრაფად შევძლებთ წარმოების მასშტაბების ზრდას.

ჯორჯიის უნივერსიტეტის ვირუსოლოგებმა ფლავიო ფაცინმა და დენიელ პერესმა შეისწავლეს ადამიანთა პანდემიისათვის მიმდინარე ამჟამინდელი ძალისხმევა, რაც მოიცავს ფრინველის გრიპის ვაქცინების ამჟამინდელ ვარიანტებს. შედეგად, გამოავლინეს რამდენიმე იმედისმომცემი ვარიანტი ვაქცინის განვითარებისთვის.

იქამდე, ვიდრე ფრინველის გრიპი ერთი ადამიანიდან პირდაპირ მეორეს გადაედება, ვაქცინების მასშტაბური წარმოება მიზანშეწონილი არ არის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 14 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8490; ევრო - 3.0584;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6160;
100 რუბლი - 3.2000; თურქული ლირა - 0.0877;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6755;
1000 სომხური დრამი - 7.3447.

**ამინდი 12 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +32 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge